ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

13 — 14 აპრილი, 2013 №87 (6088) ფასი: 30 თეთრი

11 აპრილიდან!
„ახალ თაობასთან“
ერთად
„რჩეული ქართული ზღაპრების“
პირველი ტომი
3 ლარად






გვ.3

## მეგის ქარდავა: „გამოუშვით ახალაია, თორემ ხელისუფლებაზე სკანდალურ კადრებს გამოვაქვეყნებ!“

## ბიძინა ივანიშვილი: „აგვისტოს ომს მაინც გამოვიძიებთ!“

სააკაშვილი საგამოძიებო კომისიასთან არ ითანამშრომლებს

გვ.3





გვ.2

## ბაჩო ახალაია სასამართლო დარბაზიდან გააძევეს

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

## „ნაციონალური მოძრაობა“ დაფინანსებას ბიზნესთან ასოცირებული პირებისგან იღებდა

გვ.6



გვ.5

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით დადგა დრო, რომ მიხეილ სააკაშვილმა სრული სიმართლე თქვას.

## სოსო ცინცაძე: „გამოსაძიებელია, ვინ გამდიდრდა ომის ხარჯზე!“



გვ.4

## ირინა სარიშვილი: „პრეზიდენტობის ყველაზე რეალური შანსი სალომე ზურაბიშვილს აქვს“





გვ.2

## თეიმურაზ მურვანიძე: „დაიმახსოვროს ყველამ, არჩევნების გაყალბება დასჯადია“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ნიკოლოზ რურუა: „რაბათის ირგვლივ მითქმა-მოთქმა პოლიტიზებულია!“



გვ.9

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის მესამე ტომი



# ბაჩო ახალაია სასამართლო დარბაზიდან გააძევეს

ნათია ხურცილავა



თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მორიგი სასამართლო სხდომა გუშინ გაიმართა. თუ აქამდე სასამართლო დარბაზში თავდაცვის ყოფილ მინისტრს აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ, გუშინ ის მოსამართლემ სასამართლო დარბაზიდან გააძევა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბრალდებულ ბაჩო ახალაიას სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გაძევებას წინ ხმაური უძღოდა.

ბაჩო ახალაიას დარბაზიდან გაძევების მიზეზი მისი მხრიდან პროკურორთან და საქმის ერთ-ერთ მოწმესთან პოლემიკაში შესვლა გახდა. მოსამართლე გიორგი დარახველიძემ ახალაიას განუმარტა, რომ პოლემიკაში შესვლის უფლება არ ჰქონდა და თუკი ასე გააგრძელებდა, დარბაზიდან გააძევებდა. ახალაიამ უპასუხა, რომ ეს მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, რის შემდეგაც, დარბაზიდან გააძევეს კიდეც.

პროცესზე, პროტესტის ნიშნად, ბაჩო ახალაიას ერთ-ერთმა ადვოკატმა რომეო საჯაიამ განაცხადა, რომ თავადაც ტოვებდა დარბაზს.

მოსამართლე დარახველიძემ მას განუმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ის დაჯარიმდებოდა. რემეო საჯაიამ დარბაზი მაინც დატოვა, რის გამოც, მას 500 – ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოში ბაჩო ახალაიას პროცესი მაინც გაგრძელდა, თუმცა დარბაზი პროტესტის ნიშნად დამსწრეთა ნაწილმაც დატოვა.

ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრობისდროინდელ ბრალდებებზე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას გუშინ რამდენიმე მოწმე დაიკითხა, მათ შორის ორი მოქმედი და სამი ყოფილი სამხედრო პირი.

გიორგი დარახველიძემ, კიდევ ერთი პირი, პროკურორიც დააჯარიმა. სხდომის მიმდინარეობის პროცესში მოსამართლემ რეპლიკის გამო ერთ-ერთი პროკურორი 200 ლარით დააჯარიმა.

სხდომაზე ერთ-ერთი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ბესიკ ჯანიაშვილი დაიკითხა, რომელმაც დეტალურად გაიხსენა სენაკში მომხდარი ეპიზოდი.

მისი თქმით, რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე მე-4 ბრიგადიდან სენაკის ბაზაზე წაიყვანეს, სადაც მათ მინისტრი ბაჩო ახალაია, გაერთიანებული შტაბის უფროსი გიგი კალანდაძე და მე-4 ბრიგადის ხელმძღვანელი მერაბ კიკაბიძე დახვდნენ.

მოწმის ჩვენების თანახმად, სენაკში ბრიფინგის ოთახში მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ წელს ზემოთ გახდილები სიცივეში არბენინეს და სამი დღეღამის განმავლობაში აბანოში ჩაკეტეს, სადაც არც გათობა იყო და მათ არც საჭმელი მიეწოდებოდათ.

გუშინ სასამართლო პროცესზე სულ 5 მოწმის დაკითხვა მოხდა.

# ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 19 აპრილისთვის გადაიდო

ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 19 აპრილისთვის გადაიდო.

გუშინდელ წინასასამართლო სხდომაზე კი მხარეებმა მტკიცებულებათა ნუსხა წარადგინეს. ამასთან, ბრალდების მხარეს დაცვის მხრიდან გადაეცა დამატებითი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც პროკურორებმა დააყენეს შუამდგომლობა, დამატებითი მტკიცებულებების გაცნობის მიზნით განისაზღვროს გონივრული ვადით პროცესის გადადება. მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა და პროცესი 19 აპრილს, 14:00 საათისთვის ჩაინიშნა.

ერთ-ერთი ბრალდებულის, ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატის ლევან ჯავახაძის განცხადებით, ყველა ბრალდებულს ჩვენებები პროკურატურისთვის ზეწოლის შედეგად აქვს მიცემული და საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულები ჩვენებებს შეცვლიან.

ბრალდების მხარის პროკურორის ლაშა ცქვიტარიას განცხადებით კი, ბრალდებულის ადვოკატების განცხადება არარეალურია. ბრალდებულის ადვოკატები პროკურორ გრიგოლ ბიბილაშვილს ზეწოლაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ვახტანგ ჩხაპელიამ და სხვა ბრალდებულებმა მომღერალ სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისი ზეწოლის ქვეშ მისცეს.

შეგახსენებთ, რომ ავთანდილ ადუაშვილი 2012 წლის 23 ნოემბერს თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩაზე საკუთარ ავტომანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. მას სამი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ამჟამად მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთხი პირია დაკავებული, მათ შორის ვახტანგ ჩხაპელია, რომელიც მომღერალ სოსო პავლიაშვილის სიძეა.

ჩხაპელიამ თავის ერთ-ერთ ჩვენებაში სწორედ სოსო პავლიაშვილი დაასახელა ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის ფინანსურ მხარდამჭერად.

მედიანიუსი

# თეიმურაზ მურვანიძე: „დაიმახსოვროს ყველამ, არჩევნების გაყალბება დასჯადია“

შორენა კოწოწაშვილი

„საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში წინა ხელისუფლების ყველა ის დამნაშავე წარმომადგენელი იქნება სათანადოდ დასჯილი, რომელსაც კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი და დღეს, პოლიტიკურ სარჩულს ამოფარებულს, პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენა სურს. მურვანიძე ფიქრობს, რომ მათი გეგმები კრახისთვისაა განწირული.

რატომ უნდა დაისაჯონ არჩევნების გაყალბებისთვის კონკრეტული ადამიანები და ითხოვს თუ არა მთავრობა საკადრო ცვლილებებს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძესთან.

***– ბატონო თეიმურაზ, თქვენი აზრით, რატომ ვერ მიდის მმართველი გუნდი რეალურ ნაბიჯებზე და დღემდე რატომ ვერ მოხერხდა რომელიმე ერთ ნაციონალ მაღალჩინოსანზე დასრულებული ბრალის წარმოდგენა? ფაქტია, საზოგადოება უფრო ქმედით ნაბიჯებს ითხოვს.***

– ვერ ვიტყვი, რომ მმართველი გუნდი რეალურ ნაბიჯებზე ვერ მიდის. ჯერ მხოლოდ ექვსი თვეა გასული და მათ უკვე ბევრი რამ გააკეთეს; ასევე სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ვიცი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე და მათი კრიმინალური ბიოგრაფია იმდენად „მდიდარია“, რომ ამას ძალიან ბევრი ძალისხმევა და ცოტა მეტი დრო სჭირდება. ხალხი უნდა შეეჩვიოს იმას, რომ არ შეიძლება, ვიღაცას ქუჩაში მოჰკიდო ხელი, დააპატიმრო და გამოძიება მერე დაიწყო, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. მერწმუნეთ, ყველა დამნაშავე ციხეში აღმოჩნდება და ისინი კანონის მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის.

***– პრემიერი მიიჩნევს, რომ მთავრობა კარგად მუშაობს, თუმცა ერთიორი მინისტრის მიმართ კითხვები არსებობს. საზოგადოება კი მთავრობას გაუბედავად აფასებს. თქვენი აზრით, ითხოვს თუ არა უკვე მთავრობა საკადრო გადაადგილებებს და რომელი უწყებაა ივანიშვილის მთავრობის სუსტი მხარე?***

– დღევანდელი მთავრობა გაუბედავი ნამდვილად არაა. არ ვფიქრობ, რომ საკადრო გადაადგილებებია საჭირო. ის, რომ რომელიღაც უწყებაზე სუსტის შთაბეჭდილებაა შექმნილი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უწყება მართლაც სუსტია. ყველას ვურჩევდი, უფრო გააზრებულად შევხედოთ პროცესებს. ბევრი საფრთხე იქნა განეიტრალებული და ახლა სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება დაიწყება. ეს პრემიერმა მედიასაშუალებების რედაქტორებთან შეხვედრისას განაცხადა.

***– არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ეროვნული ინტერესების გამტარებელი ძალა არ არის პარლამენტში. ასეა? არადა, ფაქტია, კოალიციას სახალხო ხელისუფლებაზე აქვს პრეტენზია.***

– არასაპარლამენტო ოპოზიციაში, ალბათ, თორთლაძისა და მსგავს პარტიებს გულისხმობთ. თავშივე მცდარი განცხადებაა, რადგან საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობით პარლამენტში არჩეული ძალა, რა თქმა უნდა, სახალხო მთავრობაა და ეროვნული ინტერესების გამტარებელი.

***– რამდენად იკვეთება, რომ უმრავლესობა რესპუბლიკელების გავლენის ქვეშაა და უქმნის თუ არა ეს ტენდენცია ახალი ხელისუფლების იმიჯს საფრთხეს?***

– საერთოდ არ მესმის ამდენი აჟიოტაჟის შექმნა რესპუბლიკური პარტიის ირგვლივ. ხელისუფლებაში მოსულია ერთიანი გუნდი და ეს გუნდი ძალიან კარგად ართმევს თავს იმ ამოცანებს, რომლებიც დღეს დგას ქვეყნის წინაშე. მალე გამოჩნდება ყველა ის პოზიტივი, რაც ახალი მთავრობის მოღვაწეობის შედეგია. სწორედ ეს აშინებს ნაცმოძრაობას, რომელიც მუდმივად ცდილობს, ერთმანეთთან დააპირისპიროს საზოგადოების გარკვეული ფენები, განხეთქილება შეიტანოს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის და სწორედ მათგან იღებს ასეთი ხმები სათავეს.

***– თქვენ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას მიმართეთ. უფრო კონკრეტულად, რა იწვევს ამ კუთხით თქვენი პარტიის უკმაყოფილებას და ვისი პასუხისმგებლობა უნდა დააყენოს კბილაშვილის უწყებამ?***

– ჩვენ არ გამოგვითქვამს უკმაყოფილება. ჩვენი პოზიციაა, ისეთი უმძიმესი დანაშაული, როგორიცაა არჩევნების გაყალბება, იქნეს ცალკე ჯგუფის მიერ გამოძიებული და სამუდამოდ დაიმახსოვროს ყველამ, რომ არჩევნების გაყალბება დასჯადია. მრავალი წლის განმავლობაში მთელი სახელმწიფო მანქანა შეთანხმებულად მოქმედებდა ერთი მიზნის მისაღწევად – დაედოთ მათთვის სასურველი შედეგი და, ძალოვანი სტრუქტურებიდან დაწყებული, ადგილობრივი ხელისუფლებით დამთავრებული, არ ერიდებოდნენ არც ფიზიკურ ზეწოლას, არც დაშინებას და არც პირდაპირ ბიულეტენების ჩაყრას. ეს არის სერიოზული კანონდარღვევა. ეს არის ხალხის არჩევანის მოპარვა და ძალაუფლების უზურპაცია. სწორედ ამ მანკიერი საქმეებისა და პრაქტიკისაგან უნდა გათავისუფლდეს ქვეყანა. სამართლიანობის აღდგენაც ამ საქმეების გამოძიებით უნდა დაიწყოს.

***– დაბოლოს, ბატონო თეიმურაზ, ვისაუბროთ განათლების სამინისტროს ახალ ინიციატივაზე, რომელსაც საგამომცემლო სახლების პროტესტი მოჰყვა. მათ სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება შეაფასეს, როგორც სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და გამომცემლობების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. რამდენად სწორია გამომცემლობების პოზიცია?***



– უდავოდ მისასალმებელი ნაბიჯია სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება მოსწავლეებისთვის ისეთ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში, როგორშიც დღეს უწევს ცხოვრება მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ყველამ ვიცით, რომ ძალიან ბევრი ოჯახი შიშით ხვდებოდა სექტემბერს, რადგანაც ბავშვების სკოლაში გაგზავნა სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებით, პრაქტიკულად, 200-300 ლარი დაეზოგათ იმ ოჯახებს, რომლებსაც სკოლის ასაკის ბავშვები ჰყავთ. რაც შეეხება გამომცემლობებსა და მათ მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, მინდა გითხრათ, რომ წინა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, საბჭოთა მეთოდების რეანიმირება და საქართველოში დანერგვა მოახდინა. ვგულისხმობ იმას, რომ არ შეიძლება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ქადაგებდე და კონკრეტული სფერო სახელმწიფო შეკვეთებით ხელოვნურად გყავდეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ჩემთვის საერთოდ გაუგებარია გამომცემლობების პოზიცია, როდესაც ისინი სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაზე საუბრობენ, რომ თურმე უფასო სახელმძღვანელოებში ბავშვებისთვის გადახდილი სახსრები უაზრო ფლანგვაა და მაგალითად ტოტო კუტუნიოს კონცერტში მართლა გადაყრილი ფული მიზნობრივადაა დახარჯული. ასეთ კონცერტებსა და მსგავს ღონისძიებებზე, რაშიც მართლა მილიონები იხარჯებოდა, კარგად იწონებდნენ თავს სწორედ ეს ადამიანები და ერთხელ არ შეუწუხებია ისინი ამდენი უსარგებლო პროექტის დაფინანსებას. არ შეიძლება, საკუთარი მოგება და ფინანსური შემოსავლების ზრდა დაუკავშირო რომელიმე სახელმწიფო ჩინოვნიკის კეთილგანწყობას. თავისუფალი ბაზარი გაძლევს შესაძლებლობას, დაბეჭდო მაღალი ხარისხის წიგნი და სწორედ ეს შემოსავალი უნდა გქონდეს გათვლილი, როგორც მთავარი შემოსავალი და არ იყო სახელმწიფო შეკვეთებისა და ბავშვებისთვის ჯიბიდან ძალით ამოცლილი ფულის იმედზე. ამბობენ, გამომცემლობები კოტრდებიანო. თუ მათი გაკოტრება გარდაუვალია, უნდა გაკოტრდნენ და სხვა საქმე მოძებნონ, ისეთი, რომელიც კარგად გამოუვათ, თუ არადა, კეთილი ინებონ, წესიერი წიგნები დაბეჭდონ და თავად შეიქმნან წარმატებული მომავალი.

# განათლების მინისტრი სამხედრო აღლუმის ჩატარების მომხრეა

გიორგი მარგველაშვილი 26 მაისს აღლუმის ჩატარების მომხრეა, რადგან მიიჩნევს, რომ ჯარისკაცები არიან ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავი გასწირეს.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, სამხედრო ძალები არის ის ბურჯი და სიამაყე, რაზეც ნებისმიერი სახელმწიფო დგას. მისი თქმით, ეს სიამაყე 26 მაისს უნდა გამოვლინდეს. „ეს არის ის ხალხი, ვინც უკვე თავი გასწირა იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ და ვიარსებოთ, როგორც ცივილიზებულმა სახელმწიფომ. ეს სიამაყე უნდა გამოვლინდეს“, – აღნიშნა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ ამ საკითხზე ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს.

მედიანიუსი



# პაატა ზაქარეიშვილი: „სამხედრო აღლუმი საბჭოთა გადმონაშთია“

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ სამხედრო აღლუმი საბჭოთა გადმონაშთია. ამის შესახებ ჟურნალისტებს პაატა ზაქარეიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობასთან დღევანდელი შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მისი მტკიცებით, არც გერმანელები და არც ბრიტანელები სამხედრო აღლუმს არ ატარებენ. სამხედრო აღლუმი მხოლოდ საფრანგეთში ტარდება და ისიც სულ სხვა სახით. „მხოლოდ ფრანგები ატარებენ აღლუმს 14 ივლისს და ესეც ხდება შემდეგნაირად: გამოდის საფრანგეთის მთელი მოსახლეობა, მეხანძრეები, მედდები, ექიმები. ეს სულ სხვა რამეა. სამხედრო აღლუმსა და სამხედრო ძალის დემონსტრირებას აკეთებენ მხოლოდ რუსები და ეს საბჭოთა გადმონაშთია“, – აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „აგვისტოს ომს მაინც გამოვიძიებთ!“

## სააკაშვილი საგამოძიებო კომისიასთან არ ითანამშრომლებს

შორენა მარსაგიშვილი

**ახალი ხელისუფლება აგვისტოს ომის გამოძიებას აპირებს. ამის შესახებ უკვე რამდენჯერმე გაზეთმა განაცხადა. ამის გამო ნაციონალური მოძრაობა და მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გაღიზიანებული არიან. მიაჩნიათ, რომ ეს ომი უკვე გამოძიებულია.**

ნაციონალების გამოძიებულის მეოცნებეებს არ სჯერა. ამიტომაც ჭეშმარიტების დასადგენად სპეციალური კომისიის შექმნა იგეგმება.

რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის მიზეზებს სპეციალური კომისია დაადგენს. ამის შესახებ ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.

კბილაშვილის თქმით, ყველა ის პირი დაიკითხება, ვისაც 2008 წლის აგვისტოს ომთან კავშირი ჰქონდა.

— ნამდვილად მოგვიწევს საგამოძიებო ჯგუფის შექმნა, რომელიც აგვისტოს ომთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს შეისწავლის. ჩვენი ამოცანაა სამართლებრივ ასპექტში შევისწავლოთ, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულებს. სხვა ტიპის შესწავლა კი პოლიტიკოსთა უფლება და საგანია და ჩვენ მას არ შევეხებით, — განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე თქმით, რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ ვის მიმართ ჩატარდება საგამოძიებო მოქმედება და ვინ დაიკითხება, მთავარი პროკურორი აცხადებს, რომ ამის დაანონსება წინასწარ არასწორი იქნება.

— წინასწარ არასწორი იქნება დაანონსება თუ ვინ დაიკითხება, მაგრამ გამოძიების კვალობაზე არ იარსებებს არც ერთი თანამდებობის პირი, რომლის დაკითხვაც საჭიროა და არ დაიკითხება, ანუ ყველა ის, ვისაც შემხებლობა და ინფორმირებულობა ექნება საკითხთან დაკავშირებით, დაიკითხება, — განაცხადა კბილაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ღელავს. ის არც ჩვენების მიცემას აპირებს.

—საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს, — ამის შესახებ პრეზიდენტმა ჟურნალისტებს პოლონეთში, ამ ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

— მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, მთლიანად ვემიჯნები პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ბრალი იყო შეიარაღებული მოქმედებების დაწყება და ომის გაჩაღება. მე, როგორც საქართველოს მოქალაქე და პრეზიდენტი, ერთი წამითაც არ ვითანამშრომლებ ამ ანტისახელმწიფოებრივ გამოძიებასთან. ამ გამოძიების მიზანი არის სახელმწიფოებრიობის შერყევა და პირდაპირ არის მიმართული ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. პირდაპირ არის მიმართული ჩვენი მტრის ამოცანების უკვე ახალ ვითარებაში ბოლომდე შესრულებამდე მიყვანისკენ. მე გული მტკივა, რომ საქმე ეხება არა ჩემს პიროვნებას, ეს მეასეხარისხოვანია, არამედ საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს. ჩვენ ყველას გვმართებს დაფიქრება იმაზე, თუ რას გავაკეთებთ უახლოეს მომავალში, — განმარტა მიხეილ სააკაშვილმა.

აგვისტოს ომის გარშემო ჩვენთან ერთხელ უკვე ჩატარდა გამოძიება. ალბათ გახსოვთ, პარლამენტში საგამოძიებო კომისია რომ შეიქმნა. ამ კომისიას სათავეში პაატა დავითაია ედგა. მაშინ ნაცმოძი და სააკაშვილი დიმპიტაურით შეხვდნენ ამ კომისიის შექმნას. სააკაშვილმა თავი დავითაიას ლამის ძალით დააკითხვინა.



პაატა დავითაია, სააკაშვილისგან განსხვავებით, მიესალმება ომის ხელახალ გამოძიებას.

2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის პაატა დავითაიასთვის გაუგებარია, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესწავლის მიზნით, რატომ უნდა შეიქმნას ერთდროულად ორი კომისია პარლამენტსა და პროკურატურაში.

„პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე პაატა დავითაიამ განაცხადა, ის მიესალმება საგამოძიებო ჯგუფის პროკურატურაში შექმნას.

— დაანებონ თავი პოლიტიკურ განცხადებებს. გუშინწინ საღამოს გახდა ცნობილი, რომ შეიქმნება საგამოძიებო ჯგუფი პროკურატურაში. მივესალმები ამას იმიტომ, რომ მათ ხაზი გაუსვეს, სამართლებრივ გამოძიებაზეა საუბარი. განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოსდა პარლამენტშიც უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, ეს მხოლოდ პოლიტიკური პიარია და სასაცილოა. მე მესმის პრეზიდენტისაც, როცა ამბობს, რომ გამოძიებასთან არ ითანამშრომლებს. იმიტომ, რომ როდესაც წინასწარ ხდება აბსურდების ლაპარაკი, რომ ჰააგა ითხოვს ამას და ამიტომ უნდა დავკითხოთ პრეზიდენტი, ეს ხომ არ დაიმალება, ეს ხომ ასე არ არის?! — აღნიშნა დავითაიამ.

აგვისტოს ომის ყოფილი გამომძიებელი იმ ეჭვებზეც საუბრობს, თუ რატომ მოინდომა ოცნებამ სისხლიანი აგვისტოს გამოძიება.

— რეალურად „ქართული ოცნება“ იმ დაპირებებს ვერ ასრულებს, რითიც ხელისუფლებაში მოვიდა. ის გამოძიება, რაც მაღალჩინოსნების მიმართ მიმდინარეობს, ფლავდება. ეს ჩანს. ამიტომ ბევრი კითხვაც ჩნდება. საზოგადოება სწრაფ მოქმედებას ითხოვს. ამიტომ შემოვიდა ახალი თემა. სინამდვილეში კი, არაფერი არ ხდება, — აცხადებს დავითაია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, აგვისტოს ომთან დაკავშირებული მოვლენების გამოძიება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნაა.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ გამოძიება ეროვნულ დონეზე უნდა წარიმართოს და მმართველი ძალა ამ საერთაშორისო ვალდებულებას შეასრულებს.

— რუსეთის დანაშაული ამ ომში არის ნათელი. ეთნიკური წმენდა არის სახეზე, რაც არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე. სააკაშვილმა ვერ გაბედა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საჩივრის შეტანა. სწორედ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნაა, საქართველოს მიმართ წარიმართოს ეს გამოძიება ეროვნულ დონეზე. ჩვენ კი ვასრულებთ ამ საერთაშორისო ვალდებულებას. სააკაშვილს ქუდი ეწვის და როგორც ჩანს, ტყუილად არ ეწვის, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

აგვისტოს სისხლიანი დღეების გამოძიებას საქართველოს პრემიერიც გამოეხმაურა. ბიძინა ივანიშვილმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

— მინდა განცხადება გავაკეთო და ნათელი მოვფინო ჩემს პასუხს ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს 2008 წლის ომის გამო პრეზიდენტის დაკითხვასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, რომელმაც სრულიად უსაფუძვლო აჟიოტაჟი გამოიწვია. ომის თემას მხოლოდ ამ შეკითხვის კონტექსტში შევეხე და ხაზი გავუსვი პრეზიდენტის დამოკიდებულებას დაკითხვის მიმართ.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მინდა განვაცხადო, მე არასოდეს მითქვამს, რომ საქართველო იყო აგრესორი და ომი დაიწყო. ჩვენს ჯარს არ გადაუკვეთავს სხვა ქვეყნის საზღვარი და არ გადასულა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. სწორედ რუსეთმა დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები და განახორციელა აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რასაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა.

ამის მიუხედავად, ჩვენი ვალია, უპასუხოდ არ დარჩეს არც ერთი კითხვა, რომელიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და დავადგინოთ სიმართლე, რაც დარწმუნებული ვარ, არავითარ შემთხვევაში არ დააზარალებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ვერაფერი შეეხება მის ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან, რაც არ უნდა ემოქმედა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, ეს არ ამართლებს რუსეთის აგრესიას.

სიმართლის დადგენა აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მიუკერძოებელი გამოძიება დაასრულებს ომის თემით სპეკულაციებს, სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება აამაღლებს საქართველოს ავტორიტეტს, მის სანდოობას. საჭიროა პასუხი გაეცეს ბევრ კითხვას, რომელიც ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს — რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რამაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს და მრავალი სხვა.

არავინ აყენებს ეჭვქვეშ ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდადებას, მათ გმირობას — ასობით ახალგაზრდა შეაკვდა ამ უთანასწორო ბრძოლას. კითხვები მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობის — მთავარსარდლისა და მთელი მთავრობის მიმართ ისმის და ისინი ვალდებული არიან კანონის წინაშე გასცენ პასუხი ამ კითხვებს.

ვფიქრობ, დამთავრდა ის დრო, როდესაც სააკაშვილი თავად განსაზღვრავდა, ვის უნდა ეპასუხა ხალხისთვის მტკივნეულ კითხვებზე და ვის არა. ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა დამთავრდეს ეპოქა, როდესაც ქვეყნის მმართველი კანონზე მაღლა აყენებს თავს. ახლა კანონის უზენაესობა არის მთავარი და ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

ის, რომ სააკაშვილი რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, უდავოა, თუმცა არც რუსეთი აღმოჩნდა ამ პროვოკაციით მოგებული და იმედია, ამას კარგად აცნობიერებენ თავად რუსეთშიც.

მჯერა, რომ სწორი, დიპლომატიური და გააზრებული ნაბიჯებით ჩვენი ქვეყანა აუცილებლად შეძლებს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას, — ნათქვამია ივანიშვილის განცხადებაში.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძისთვის ძნელად წარმოსადგენია, რა ცვლილება უნდა მოიტანოს აგვისტოს ომის გამოძიებამ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

— საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ თემის გამოძიება დასრულდა ევროკავშირის გამოძიებასთან ერთად, როდესაც გამოქვეყნდა ტალიავინის ანგარიში. ამას მოჰყვა შეფასებები, როგორც ევროკავშირის, ისე ამერიკისგან და ყველა სხვა სახელმწიფოს მხრიდან. ამის შემდეგ იყო მხარდამჭერი რეზოლუცია და დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიღეს. ამიტომ ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რა ცვლილება უნდა მოიტანოს ამ გამოძიებამ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, — განაცხადა ბაქრაძემ.

აგვისტოს ომის ხელახალი გამოძიება ჭკუაში არც ედეპეს ლიდერს ბაჩუკი ქარდავას დაუჯდა. მთავრობის მხრიდან კითხვის ნიშნის დასმა იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობაა, უარეს შემთხვევაში — საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

— ყველას გვახსოვს პრემიერის პირველი გამოსვლა ჟურნალისტების წინაშე, სადაც მან ღიად და ცალსახად განაცხადა, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო. იმ ფონზე, როცა მთელი საერთაშორისო საზოგადოება, ევროსტრუქტურები აღიარებენ, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთი აღიარებულია, როგორც ოკუპანტი სახელმწიფო, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, კითხვის ნიშნის დასმა იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობაა, ხოლო უარეს შემთხვევაში — საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა. ამ ქმედებით კი საქართველოს ხელისუფლება ემსახურება რუსული პოლიტიკური წრეების ინტერესებს და რუსეთს აძლევს შანსს, მოახდინოს ოკუპაციის იურიდიული დასაბუთება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მიიტაცა ტერიტორიები, საერთაშორისო არენაზე რუსეთი, პოლიტიკური თვალსაზრისით, დამარცხებულია საქართველოსთან მიმართებაში, რადგან ის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ ოკუპანტად აღიარა. არ არსებობს ქვეყანა, რუსეთის მიერ ოკუპირებული, რომლის დეოკუპაციაც სწორედ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით არ მომხდარიყო. ასეთი ქმედებით, როცა თავად ვსვამთ კითხვებს აგვისტოს ომთან დაკავშირებით, დასავლეთის წინაშე დღის წესრიგიდან ვხსნით ოკუპაციის საკითხს და ამავდროულად, ძალიან ბევრ ქვეყანას მივცემთ საშუალებას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებაზე ფიქრი დაიწყოს. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ 2008 წლის ომის თემას წინ უძღოდა ხელისუფლების მხრიდან „ოკუპაციის შესახებ კანონის“ გადახედვის საკითხი. ხელისუფლებას შევახსენებთ, რომ კი არ უნდა შემსუბუქდეს „კანონი ოკუპაციის შესახებ“ რუსეთთან მიმართებაში, არამედ კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს და ჩაიწეროს, რომ რუსეთი არის არა მხოლოდ ოკუპანტი, არამედ აგრესორი. მან განახორციელა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო აგრესია, რომელსაც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით სულ სხვა კვალიფიკაცია აქვს, ვიდრე ოკუპაციას. აგრესია არის საერთაშორისო დანაშაული. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან კითხვა, თუ ვინ დაიწყო ომი 2008 წლის აგვისტოში, რადგან ომი რუსეთ-საქართველოს შორის 200 წელია მიმდინარეობს და ამ ხნის მანძილზე რუსეთის მიზანი იყო და არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელყოფა და საკუთარი გავლენის სფეროში ჩვენი ქვეყნის მოქცევა, — განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

# მეგის ქარდავა ხელისუფლებას სკანდალური კადრების გამოქვეყნებით ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ ჩვენში დიდი სკანდალი ატყდა იმის გამო, რომ სამხედრო პოლიციის ბაზაზე პორნოსტუდია იყო შექმნილი, სადაც პოლიტიკოსებსა და მათთან დაახლოებულ პირებზე მაკომპრომეტირებელი ფირები მზადდებოდა. ამ თემაზე პროკურატურამ კადრებიც გამოაქვეყნა, რასაც დიდი აურზაური მოჰყვა.

ამ სკანდალური ფირების გადაღების ორგანიზატორად სამხედრო პოლიციის ყოფილი შეფი მეგის ქარდავა სახელდება. ეს უკანასკნელი ბაჩო ახალაიას ახლობელი და მარჯვენა ხელი გახლდათ.

ქარდავა ახლა ძებნაშია. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული. თუმცა მეოცნებეები მის მოძებნას და დაკავებას ვერ ახერხებენ. ბოროტი ხმების მტკიცებით კი, მისი მოძებნა არც არავის უცდია.

ძველი ხელისუფლება და მათ შორის მეგის ქარდავაც, კომპრომატების მოძიებით იყვნენ დაკავებული. მეოცნებეებიც აღიარებენ, რომ ქარდავას ხელთ მრავალი კომპრომატი აქვს. ამ კომპრომატების წყალობით, შესაძლოა მან ბაჩო ახალაია ციხიდან გამოიყვანოს.

გავრცელებული ინფორმაციით, მეგის ქარდავა ხელისუფლებას თავდაცვისა და შს ექსმინისტრ ბაჩო ახალაიას პატიმრობიდან გათავისუფლებას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სკანდალური ვიდეოჩანაწრების გამოქვეყნებით იმუქრება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „პირველი რადიო“ ავრცელებს.

— ხელისუფლებამ საზღვარგარეთ მყოფ ბრალდებულ ქარდავასგან „შეთავაზება“ მიიღო. კერძოდ, მან ხელისუფლებას შემოუთვალა, თუ ბაჩო ახალაიას არ გაათავისუფლებენ, კომპრომატის შემცველ ფარულ ვიდეოჩანაწერს გაავრცელებს. ჩანაწერი კი იმდენად სკანდალურია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქარდავას ახალაიას გათავისუფლების პირობა მისცეს. ბრალდებული ქარდავა ითხოვს, ხელისუფლებამ ეს დაპირება მაისში შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იუთუბზე სკანდალური ვიდეოჩანაწერი აიტვირთება, — იუწყება „პირველი რადიო“.

ვნახოთ, რა იქნება. მაისი სულ მალე დადგება.



# ირინა სარიშვილი: „პრეზიდენტობის ყველაზე რეალური შანსი სალომე ზურაბიშვილს აქვს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***– ქალბატონო ირინა, ბოლო პერიოდია, დღის წესრიგში დადგა მესამე***

ძალის შექმნის საკითხი. ამ თემას ყველა აქტიურად განიხილავს. საუბარია, რომ თითქოს გაერთიანდება გარეთ დარჩენილი ოპოზიცია და ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი ეყოლებათ. ეს რამდენად რეალურია?

– სამწუხაროდ, ეს არ არის რეალური, თუმცა, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამ მოტივით მაინც მომხდარიყო მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უფრო რეალურია მესამე პოლიტიკური ცენტრის, სუროგატის შექმნა ბიძინა ივანიშვილის ხელდასმით. სავარაუდოდ, მაშინ ამ მესამე პოლიტიკურ ძალას, რომელიც რეალურად იქნება დღევანდელი ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი და მასთან ინტერესების თანმხვედრი, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი პოლიტიკური ცენტრის სათავეში ვიხილოთ სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაჟინებული მოწვევით არის საქართველოში.

***– თქვენი აზრით, ვინ გაერთიანდება ამ პოლიტიკურ ცენტრში?***

– ვერ გეტყვით, ვინ გაერთიანდება, ერთი რამ ფაქტია, რომ რესპუბლიკელების ერთ-ერთი კანდიდატი ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურა არ აღმოჩნდა ნოყიერი ნიადაგი და, ამდენად, ეს თემა გადაწეულია. ასევე სერიოზული ზურგის თვალსაზრისით არა ადგილობრივის, მაგრამ სერიოზულ კანდიდატურად უნდა განხილულიყო ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რამდენად პოპულარულია ეს ადამიანი საქართველოში. ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა კატეგორიულად მიუღებელი იქნება რესპუბლიკელებისთვის. ასევე მიუღებელია მათთვის სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურაც, მაგრამ, ბურჯანაძესთან შედარებით, ისინი ორივე ხელით მიესალმებიან, თუ სხვა გამოსავალი არ ექნებათ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ თემა, რომელიც ბუნებრივად უნდა წარმოქმნილიყო ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, მთლიანად მონოპოლიზებულია დღევანდელი ხელისუფლების მიერ, რა თქმა უნდა, ნაცებთან ერთად.

***– გამოდის, რომ რეალური მესამე ძალა არ იარსებებს?***

– რეალური მესამე ძალა იმიტომ არ ჩამოყალიბდება, რომ ამ მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებაზე იზრუნა თვითონ ხელისუფლებამ. ეს უკვე თავისთავად ნონსენსია. ხელისუფლებას ევალებოდა ის, რომ ხელი არ შეეშალა ასეთი ძალის ჩამოყალიბებაში, მაგრამ განცხადების გაკეთება იმის თაობაზე, რომ ის თვითონ აპირებს ამის გაკეთებას, უკვე აბსურდის თეატრის კანონებსაც სცდება, იმიტომ რომ მესამე პოლიტიკური ძალა ოპოზიციაა და შეუძლებელია, ხელისუფლების მიერ იყოს ის ჩამოყალიბებული, თუ ნამდვილ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალაზე გვაქვს საუბარი. ასე რომ, ჯერჯერობით ასეთი სურათი გვაქვს. ბურჯანაძე, ალბათ, თავის პოზიციებს არ დათმობს, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ამ ყველაფერში არის ის, რომ საზოგადოების ყურადღება ძალიან მარტივად გადავა ასეთ საკითხებზე და ამას ბევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმ საფრთხესთან შედარებით, რა საფრთხეც ელის უახლოეს პერიოდში საქართველოს. ლაპარაკია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემებზე. აგვისტოს ომში დაწყებული პროცესი ანუ როდესაც სააკაშვილმა მიიღო წინასწარ წაგებული ომის სცენარში მონაწილეობა და ორჯონიკიძესავით კი არ გააჩუქა პირდაპირ ეს ტერიტორიები, არამედ წაგებული ომით გააფორმა. შემდეგ მეორე ეტაპი იყო პირველ დონეზე მოსინჯვა მამუკა არეშიძისა და სხვათა გამოყენებით, თემა, დაკავშირებული იმასთან, რომ ეგებ საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და სამი ქართული სახელმწიფო მივიღოთ და, ალბათ, კომენტარიც კი ზედმეტია ამაზე. ამის შემდეგ ხელისუფლებაში მოდის ბიძინა ივანიშვილი და მას ე.წ. ოპოზიციის ორთქლმავლით მოჰყავს ყველაზე არაპოპულარული პარტია, რესპუბლიკური პარტია საქართველოში, რომლის პროგრამაშიც, დღიდან მათი არსებობისა, ამ ტიპის სამ ქართულ სახელმწიფოზეა საუბარი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ რესპუბლიკელების წარმომადგენელი იყო სამცხე-ჯავახეთში, ვინც იქაური პრობლემები ასწია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დღეისათვის, მოგეხსენებათ, მიმდინარეობს კანონის განხილვა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც, ფაქტობრივად, ისეთი ცვლილება უნდა შევიდეს, რომელიც კიდევ ერთ ნაბიჯს ადგმევინებს საქართველოს საკმაოდ სერიოზულს, იქითკენ, რომ დე ფაქტო მდგომარეობა ამა თუ იმ ფორმით კანონიერად იყოს ცნობილი. ასევე შეგახსენებთ ზაქარეიშვილის განცხადებას რომელიღაც კონვენციასთან დაკავშირებით, სადაც ქართული, აფხაზური და ოსური მხარეების მოლაპარაკებაზეა საუბარი, თითქოს ეს თანაბარზომიერი მხარეები იყოს. სამწუხაროდ, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხები რჩება ყურადღების მიღმა, გამომდინარე სოციალური პრობლემებიდან, გამომდინარე შიდა პოლიტიკური დაძაბულობიდან და გამომდინარე მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატურების აქტუალური განხილვიდან.

***– თქვენ გგონიათ, ეს საკითხი გაიპარება?***

– რა თქმა უნდა, გაიპარება, ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის ის თემა, რომელსაც ააწევინებს ან ხელისუფლება, ან ე.წ. ოპოზიცია საინფორმაციო საშუალებებს სერიოზულ დონეზე. არ ააწევინებენ, იმიტომ რომ ეს არის თემა, რომლის სამარცხვინო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა ნაციონალური მოძრაობა და ერთადერთი მიზეზი, რატომაც მათ უკან მდგომმა ძალებმა გადაწყვიტეს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ ამის გაკეთებას სჯობია, ახალმა ხელისუფლებამ გააკეთოს ეს, მაგრამ იდეოლოგიურად იმავემ. იმდენად დისკრედიტებული იყო მიხეილ სააკაშვილი და მთლიანად მისი ხელისუფლება, რომ ასეთი ხელისუფლების მიერ ნებისმიერი ამ ტიპის სარისკო დოკუმენტის მიღება, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, ლეგალურობიდან დაწყებული, მისი განხორციელებით დამთავრებული. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ნაბიჯის გადადგმაში პრიორიტეტი მიენიჭა ახალ სისხლგადასხმულ, მაგრამ იმავე იდეოლოგიის მატარებელ დღევანდელ ხელისუფლებას. ეს არის თემა, რომლის გამოც ასე ეშინია, რეალური მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებისა ორივე ძალას. ეს შიში იმდენად ძლიერია, რომ ნაციონალებმა თავიანთი კუდის შეყოლებაც კი ვერ მოახერხეს პარლამენტში, ქრისტიან-დემოკრატებს ვგულისხმობ. ამის უფლებაც კი არ მისცეს თავის თავს და პარლამენტი ორპარტიული გახადეს. იმდენად დიდია რისკი, რომ, ამ თემის ხელში ატაცების შემთხვევაში, შესაძლოა, გეგმა ჩაიშალოს.

***– ქალბატონო ირინა, რაც შეეხება ე.წ. მესამე ძალას, თქვენ თქვით, რომ, სავარაუდოდ, სალომე ზურაბიშვილი ჩაუდგება მას სათავეში. როგორ ფიქრობთ, ამ ძალის საპრეზიდენტო კანდიდატიც ზურაბიშვილი იქნება?***

– ალბათ, სალომე ზურაბიშვილი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება და სინამდვილეში რა იქნება, არ ვიცი.

***– რა პირობით დათანხმდება ის ამ თანამდებობას? სავარაუდოდ, ის გახდება პრეზიდენტი?***

– მე არა მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილმა აქ პირობები წამოაყენოს. ის ამბიციური ადამიანია. მე მგონი, ეს ყველას კარგად ახსოვს. ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილისთვის ეს ძალიან სასურველი ვარიანტია მისი პოლიტიკური განვითარებისთვის. არათუ პირობებს არ წააყენებს, პირიქით, სალომე ზურაბიშვილი თავად გახდება რაღაც პირობების შესრულების გარანტი, რომ მისი კანდიდატურა მოწონებულ იქნეს უკან მდგომი ძალებისთვის.

***– რამდენად აქვს შანსი, რომ პრეზიდენტი გახდეს?***

– ამას ახლა ვერ გეტყვით, ვინაიდან რეალურად დღეს მაინც ისეთი მდგომარეობაა, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატურა კრახისთვის არის განწირული. ამ ეტაპზე ყოვლად წარმოუდგენელია ნაციონალური მოძრაობის იმიჯის გამოსწორება. აქედან გამომდინარე, სავარაუდო ორ კანდიდატურას შორის, ახლა



არა აქვს მნიშვნელობა, ან ერთ ან მეორე მხარეს სხვაობა ისეთივე იქნება, როგორიც იყო საპარლამენტო არჩევნებში.

***– ამბობენ, რომ ხმალაძის კანდიდატურა გვერდზე გადაიდო. განიხილება ალასანიას, ახვლედიანისა და პაატა ბურჭულაძის კანდიდატურები. თქვენ ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?***

– არ მეჩვენება რეალურად, ალასანიას კანდიდატურა მით უმეტეს არ მეჩვენება რეალურად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაზე რეალურად მეჩვენება სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ბიძინა ივანიშვილისთვის, ე.წ. სუროგატული პოლიტიკური ძალის ფორმირებაზე განცხადების გაკეთება, რომ პრეზიდენტი ითვლებოდეს მიუკერძოებელ მხარედ, რომ, აი, ოპოზიციიდან აირჩა კანდიდატი, რეალური ოპოზიციის კანდიდატს კი ყველანაირად გზას ჩაუკეტავენ.

***– ცდილობენ, რომ ზურაბიშვილის კანდიდატურით ბურჯანაძის კანდიდატურა დაჩრდილონ?***

– დამოუკიდებელ კანდიდატებს შორის რაც კი შეიძლება დღეს წამოყენებულ იქნეს, იმის მიუხედავად, ვის მოსწონს და ვის არა ნინო ბურჯანაძე, ის ყველაზე სერიოზული კანდიდატურაა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, მაგრამ ამ კანდიდატურას ეცლება ძირი, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ორგანიზაციას არავინ დაუდგება გვერდით და ეს 26-მა მაისმაც თვალნათლივ აჩვენა. სავარაუდოდ, გააქტიურდება ნინო ბურჯანაძე თავისი პოლიტიკური გარემოცვით. ისინი უფრო გაამძაფრებენ კრიტიკას.

***– სხვათა შორის, უკვე გააკრიტიკა ღიად ახალი ხელისუფლება.***

– დიახ, ეს, უბრალოდ, დამთხვევა არ არის. ამ ამბებთან არის კავშირში. ისინი გააძლიერებენ კრიტიკას დღევანდელი ხელისუფლების მისამართით და არ გამოვრიცხავ, რომ ბურჯანაძემ მაინც დააყენოს საკუთარი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში. არაფერს არ გამოვრიცხავ. ბურჯანაძე რომ მისაღები იყოს დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისთვის და ის რომ ცოტა უფრო მისაღები ფიგურა იყოს მოსახლეობისთვისაც, ნამდვილად სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა თუნდაც ბიძინა ივანიშვილის კანდიდატს, მაგრამ, გარდა ფინანსური შესაძლებლობისა და სერიოზული ზურგისა, ბურჯანაძეს დღეს მეტი არაფერი აქვს წონადი. აქედან გამომდინარე, ძალიან გაუჭირდება. პოლიტიკურ სპექტრს კი, არა მგონია, იმისი სურვილი გაუჩნდეს, რომ ოღონდ შეიქმნას მესამე პოლიტიკური ცენტრი და გადააბიჯონ საკუთარ ამბიციებს და საკუთარ ანტიპათიებს. ისე, კარგი იქნებოდა, ეს გაეკეთებინათ.

***– მაშინ, გამოდის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შედარებით სუსტი კანდიდატი უნდა დაასახელოს, რათა სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს.***

– აბა, ოცნებას რაში სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი? არაფერში. არავის სჭირდება დღეს ძლიერი პრეზიდენტი. მე მგონია, დიდი ვარაუდით, პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი. ხმალაძის კანდიდატურამ აშკარად ვერ გაიხარა.

***– კიდევ ერთ თემას მინდა შევეხოთ, ქალბატონო ირინა. ბოლო დღეებში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ აგვისტოს ომი გამოძიებულ უნდა იქნეს. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ამ ომის გამოძიება და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვა?***

– ასე მე ტერაქტებზეც ბევრი განცხადება მინახავს, რომ უნდა გამოვიძიოთ. მოდით, დავიწყოთ იქიდან, თუ ვის აწყობს აგვისტოს ომის რეალური გამოძიება. არავის. ყოველ შემთხვევაში, დღეს არც ხელისუფლებაში მყოფებს და არც არმყოფებს ეს არ აწყობთ. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რეალურ გამოძიებაზე, არ აწყობთ, იმიტომ რომ ეს არის შეთქმულება, ეს არის სისხლიანი სპექტაკლი, რომელიც დაიდგა იმისთვის, რომ ამ ტერიტორიების დაბრუნების თემა კიდევ უფრო შორს გადაწეულიყო და, პირიქით, საქართველოსთვის უფრო ძლიერად შექმნილიყო ის მდგომარეობა, როდესაც მისმა ხელისუფლებამ უნდა შეძლოს იმისი თქმა, რომ, აი, მე იძულებული ვარ, ამ დათმობაზე წავიდე, ხომ ხედავთ, რომ ომი იქნა წაგებული.

***– თუ არ აწყობთ გამოძიება, მაშინ რაში დასჭირდებოდა თეა წულუკიანს ამის გაჟღერება?***

– მერე რა, ეს გაჟღერდება და ეს პროცესი გაგრძელდება დიდი ხნის განმავლობაში. ეს ერთი და მეორეც – სულაც არ არის სავალდებულო, თეა წულუკიანი ყველაფრის საქმის კურსში იყოს, რაც ხდება პოლიტიკური თვალსაზრისით მის გარშემო. შევარდნაძის ხელისუფლების დროიდან დაიწყო ტერაქტებზე საუბარი და გრძელდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდშიც. ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ საქმე გაკეთდა.

***– ეს საზოგადოების შეყოლიებას ჰგავს?***

– რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ყბედობას ალტერნატივა არა აქვს, სამწუხაროდ. სადაც ძალიან ბევრი გასაკეთებელი საქმე შეცვლილია მხოლოდ ყბედობით და ადამიანები გარკვეულ სიამოვნებას და კმაყოფილებას იღებენ სწორედ ყბედობის გზით და არა საქმის გაკეთებით. სამწუხაროდ, ეს ასეა.

***– ვხედავთ, რომ ახალ ხელისუფლებას თანდათან ეზრდება უკმაყოფილოთა რიცხვი საზოგადოებაში. არ მოსწონთ საკადრო პოლიტიკა, არ მოსწონთ სოციალური საკითხებისადმი მიდგომა. ამ ფონზე რას უნდა ველოდოთ?***

– კონფლიქტის ალბათობა, რა თქმა უნდა, არის და ვანო მერაბიშვილის განცხადებებს თუ დავაკვირდებით საცხრამეტაპრილოდ, ისინი რამდენიმე ვარიანტისთვის ემზადებიან, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ამ ეტაპზე, გარდა კოჰაბიტაციური პროცესებისა, არაფერს არ უნდა ველოდოთ. კარგია ეს თუ ცუდი, საზოგადოებამ განსაჯოს ანუ პარლამენტი რეალურად მიდის ახალი უმრავლესობის შექმნისკენ, ნაციონალურ-რესპუბლიკური უმრავლესობის შექმნისკენ. თუ ამავე პარლამენტში არა, მაშინ რიგგარეშე ან მორიგი არჩევნების პერიოდისთვის. ჯერჯერობით ამ მოცემულობით ეს ჩანს, თუ რამე არ მოხდა. ამ ვადებში ძალიან არარეალურია ნამდვილი მესამე პოლიტიკური ძალის დანახვა და შექმნა.

***– დღეს გვაქვს ის მოცემულობა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კარგად აითვისა წინა ხელისუფლების გაკვეთილი და ცდილობს, რომ ოპოზიციური ნიშაც თავად დაიკავოს?***

– არაჩვეულებრივად აითვისა და რეალურად სწორედ ამას ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, ეს არის საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით და მერე რა მოხდება, კაცმა არ იცის. გამორიცხულია, ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ უკმაყოფილება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ იზრდება. რა თქმა უნდა, ოცნებას ურჩევნია, რომ ამის სადავეები ხელში მისგან მართულმა ფსევდო მესამე პოლიტიკურმა ძალამ ჩაიგდოს, ვიდრე ან ნაციონალურმა მოძრაობამ, რომლებიც პარლამენტში არიან და ბევრად მეტი სადავე აქვთ ხელში და გამოცდილება, ან რეალურად შექმნილმა, რეალურმა მესამე პოლიტიკურმა ძალამ.

***– 19 აპრილისთვის თუ ელით რაიმე ექსცესებს და სიტუაციის დაძაბვას?***

– მე მაინც მგონია, რომ 19 აპრილს მოახერხებენ ნაციონალები თავიანთი პროგრამა მინიმუმის შესრულებას და ამაში მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი განზრახ თუ სისულელით გადადგმული ნაბიჯებით ანუ ისინი აჩვენებენ ხალხის შთამბეჭდავ რაოდენობას. მათ ეს სჭირდებათ უცხოეთისთვის და, როგორც ჩანს, ეს სჭირდება დღევანდელ ხელისუფლებასაც, რომ კოჰაბიტაციის მკვდრადშობილი იდეა, რომელიც პოლიტიკური სპექტრის გარდა არსად ყოფილა პოპულარული, გახადოს უკვე, როგორც აუცილებლობა. მგონი, აქაც ინტერესები დაემთხვა. ნაციონალები რადგანაც დიდი გადამგდებები არიან და შესაძლოა, სიტუაციიდან გამომდინარე, მეტი მოინდომონ, სიტუაციის სხვაგვარი განვითარებაც არ გამოვრიცხოთ და მოვლენები უფრო რადიკალური ფორმითაც განვითარდეს.

# სოსო ცინცაძე: „გამოსაძიებელია, ვინ გამდიდრდა ომის ხარჯზე!“

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით დადგა დრო, რომ მიხეილ სააკაშვილმა სრული სიმართლე თქვას.**

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან:**

***— ბატონო სოსო, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებაზე ახალმა ხელისუფლებამ განცხადება გააკეთა, რასაც პრეზიდენტმა უპასუხა. საერთაშორისო დონეზე ტალიავინის დასკვნა არსებობს ამ ომზე. რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ახალი გამოძიება?***

— რუსეთი საქართველოს ნებისმიერ ომში რომ დაამარცხებდა, ამას გამოძიება არ სჭირდება, ეს ისედაც ცნობილია. გამოძიება სხვა კუთხით უნდა წარიმართოს.

***— კონკრეტულად?***

— გამოძიებამ შიდა ფაქტებზე, კორუფციის მიმართულებით უნდა მოახდინოს ფოკუსირება და ეს გამოიძიოს. ტალიავინის დასკვნაში მითითებულია, რომ რუსეთმა სამხედროები შემოიყვანა, მაგრამ იმ რაოდენობით არა, რა რაოდენობასაც ქართული მხარე აცხადებსო. აგრესიის, საერთაშორისო სამართლის კლასიკური განმარტებით, მნიშვნელობა აღარ აქვს, რუსეთმა 10 ჯარისკაცი შემოიყვანა თუ 10 ათასი. რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტი დაარღვია. ეს ფაქტია. საერთაშორისო კომისიაში, რომელსაც ტალიავინი ხელმძღვანელობდა, ყველმა იცის თუ ვინ შედიოდა. მათ დიდ ნაწილს თუ ვინ უხდიდა ხელფასს, ისიც ცნობილია. გერმანელი ექსპერტები ხელფასს გაზპრომიდან ღებულობდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, კომისიამ აღიარა, რომ რუსეთმა ჯარი შემოიყვანა, საუბარია რეგულარულ საბრძოლო ნაწილზე და არა მშვიდობისმყოფელებზე.

***— რეალობის დადგენის თვალსაზრისით არის აუცილებლობა, რომ მოხდეს გამოძიება თუ კიდევ სხვა აუცილებლობაა?***

— აუცილებლობაა ის, რომ კეზერაშვილმა და სხვა რამდენიმე თაღლითმა, რომლებმაც თქვენი, ჩემი და ქვეყნის ფული მილიონობით მოიპარეს, პასუხი აგონ. ეს არ უნდა შერჩეთ. პროკურატურამ ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს გამოძიება. პროკურორმა განაცხადა, სამართლებრივი შეფასება უნდა მივცეთო. მე კი ვფიქრობ, რომ სამართლებრივი შეფასება იმ დროინდელი თავდაცვის მინისტრისა და ყველა იმ ჩინოვნისკის საქციელის, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული იყო იარაღის შეძენის პროცესთან, იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობა, ერთ-ერთი ყველაზე ნოყიერი უკანონო შემოსავლის წყაროა. ჯერ უცნობია, რა კუთხით წავა გამოძიება. მე პირადად მხარს ვუჭერ იმის გამოძიებას თუ ვინ გამდიდრდა ომის ხარჯზე, ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე.

***— კორუფციის ფაქტები უფრო საინტერესოა, ვიდრე საერთაშორისო ნორმების დარღვევა?***

— საერთაშორისო მიმართულებით ძიება, ვფიქრობ, პროკურატურის საქმე არ უნდა იყოს. ეს უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების საქმე. მადლობა ღმერთს, ჩვენ გვყავს ევროპული დონის, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, რომელიც გაეროშიც მუშაობდა და ჟენევაშიც აღნიშნულ საკითხებზე. ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. გამოძიება, საერთაშორისო სამართლის კუთხით თუ წავა, მაშინ ამ დონის ექსპერტის არ ჩართვა შეუძლებელი და წარმოუდგენელი იქნება, მაგრამ ვფიქრობ, უპრიანი იქნება, პროკურატურამ კორუფციის ფაქტებს ახადოს ფარდა. რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, რომელიც 100 გვერდზე მეტია, საქართველოში თავიდან ბოლომდე არავის არა აქვს წაკითხული. შეიძლება ლევან ალექსიძეს აქვს წაკითხული, თანაც გულდასმით. როგორც რუსული



მხარე, ისე ქართული მხარე ციტატებს იღებდა. მაგალითად, რუსეთის ფედერაცია იმაზე მანიპულირებდა, რომ დასკვნაში წერია: პირველი გასროლა ქართულმა მხარემ მოახდინა, ამიტომ ომი საქართველომ დაიწყოო. ჩანაწერის გაგრძელებას არავინ აქცევდა ყურადღებას, სადაც საუბარი იყო: ქართველებმა პირველებმა რომ ისროლონ შეუძლებელია განვიხილოთ წინა პერიოდის გარეშე, მოწყვეტილად. თუ ამას არც ქართულმა მხარემ მიაქცია ყურადღება და პოლიტიზირებული იქნა ეს საკითხი, მაშინ რა აზრი აქვს ასეთ გამოძიებას?!

***— პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ გამოძიებასთან არ ვითანამშრომლებო. რატომ გააკეთა ასეთი განცხადება? უნდა ითანამშრომლოს თუ არა?***

— დიახ, უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან. თუ სააკაშვილი დაინტერესებულია სიმართლის გარკვევით, მან არა თუ უნდა ითანამშრომლოს, რომც არ დაუძახონ, თავად უნდა მივიდეს და დაჟინებით მოითხოვოს, რომ მისგან სრული ინფორმაცია მიიღოს გამოძიებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩება. რატომ არ დაისაჯა კეზერაშვილი? საკმარისი იყო მხოლოდ თანამდებობიდან გადაყენება? არც იმ ხელისუფლების არ მესმოდა და არც ამ ხელისუფლების არ მესმის, რა პრობლემაა, თქვან, რა ქონებას ფლობდა მინისტრობამდე კეზერაშვილი და რა ქონებას ფლობს დღეს? პირველ რიგში, გამოძიება იარაღის შესყიდვის საკითხით უნდა დაინტერესდეს. ქართული არმიის შეიარაღებაში მილიარდი დაიხარჯა, შედეგი რა მივიღეთ? იარაღის ვაჭრობით თუ გერმანიაშიც მდიდრდებიან, მდიდრდებიან საფრანგეთშიც, ისრაელშიც, საქართველოში პოლიტიკოსები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ იარაღით ვაჭრობაში, რა, მაჰათმა განდი და დედა ტერეზები იყვნენ? ხომ ფაქტია, იარაღით ვაჭრობაში მაღალი ეშელონები, სახელისუფლო ვერტიკალის კენწერო იყო ჩართული. სააკაშვილმა, თუ მართლა უნდა მას სიმართლის დადგენა, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გამოძიების პროცესში მიიღოს მონაწილეობა.

***— ბატონო სოსო, პროკურატურა შეძლებს აგვისტოს ომის რეალური სურათის დადებას? კითხვის ნიშნები ამ მიმართულებით არსებობს, რადგან ვერც ერთი გახმაურებული საქმე აქამდე ვერ გახსნა მთავარმა პროკურატურამ, მიუხედავად იმისა, რომ დროის ფაქტორიც არსებობს.***

— პირველი, სწორედ ეს კითხვა დამებადა, როდესაც გავიგე ინფორმაცია, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს. ათასობით საქმეა გამოსაძიებელი, ვერ ვხედავ ამხელა რესურსს, ამიტომ პროკურატურა არ უნდა ჩაეფლოს კიდევ ერთ ახალ პროცესში და გამოძიება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის მიმართულებით არ უნდა წაიყვანოს. ვფიქრობ, ამ საქმის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხე პროკურატურის საქმე არ არის. ეს არ არის მისი პრეროგატივა. გამოძიების პრეროგატივა უნდა გახდეს ომის სამზადისი, იარაღის შეძენის დეტალები, ლოჯისტიკის სფეროში კორუფციის ფაქტების გამოვლენა. პოლიტიკური შეფასება მეცნიერების საგანია. დამარცხებული ომის დროს კომისიები ყოველთვის იქმნებოდა. როდესაც საბერძნეთ-თურქეთის ომი იყო კვიპროსთან დაკავშირებით, კომისია შეიქმნა და „შავი პოლკოვნიკები“ ხელისუფლებიდან გაყარეს. ასევე არგენტინაში შეიქმნა კომისია და რამდენიმე გენერალს 8-დან-15 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს.

***— ყოფილი ხელისუფლებისა და დღევანდელი პრეზიდენტის არგუმენტი არის, რომ ამით ჩვენს ქვეყანას ზიანს მივაყენებთ, რომ საერთაშორისო იმიჯზე ცუდად იმოქმედებსო, რას იტყვით, რამდენად მყარი არგუმენტია?***

— მე ვიტყვი, რომ ძალიან დელიკატური საკითხია. დღევანდელ ხელისუფლებას სცილასა და ქარიბდას შორის მოუწევს გავლა. ისე, რომ კორუფციის ფაქტებიც გამოვლინდეს, ომთან დაკავშირებული დილეტანტური ფაქტების გამოვლენაც, ვგულისხმობ საბრძოლო ოპერაციების დილეტანტის დონეზე წარმოებას. რატომ მოხდა ისე, რომ არმია, რომელიც ამერიკელების მიერ იყო გაწვრთნილი და შეიარაღებული, ამ არმიამ ვერ შეძლო ერთი დღით მაინც, როკის გვირაბთან შეეჩერებინა რუსის ჯარი. გამარჯვება წარმოუდგენელი იყო, საქართველო ყოველთვის დამარცხდებოდა, მაგრამ ასე სამარცხვინოდ რატომ დამარცხდა? ჩვენ ის კი არ უნდა ვიძიოთ, ომში დამნაშავე არის თუ არა საქართველო, უნდა გამოვიძიოთ, რა მოხდა, როგორ მოქმედებდნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები. წამოეგო თუ არა საქართველო პროვოკაციას, ეს საკითხი სიღრმისეულად უნდა იქნას შესწავლილი ყოველგვარი პოლიტიზირების გარეშე. თუ ივანიშვილმა ამ ჯგუფში ექსპერტებად ისევ მოიაზრა ცისკარიშვილის კლუბი, 80 წლის ასაკში უცებ რომ გახდნენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, მაშინ, რასაკვირველია, ისევ პოლიტიზირებული იქნება და სიმართლის გამოაშკარავება ისევ გადაიდება. ამ შემთხვევაში მომავალ თაობას დავუტოვებთ ამოცანას, რომ გაარკვიოს რა მოხდა. საკითხს იმ კუთხით რომ მივუდგეთ, რა კუთხითაც დღეს მიმდინარეობს საუბარი, მაშინ მეორე მსოფლიო ომის დროს ომის დაწყებაში დამნაშავე იყო პოლონეთი და არა გერმანია. რატომ ამბობს ყველა ერთხმად, რომ ეს იყო გერმანიის აგრესია პოლონეთის წინააღმდეგ და არა პირიქით. რატომ არავინ არ ამბობს, რომ პოლონეთი ჰიტლერის პროვოკაციას წამოეგო?! რუსეთის დანაშაული ამ მიმართულებით რატომღაც მეორე პლანზე გადადის. რატომღაც მთავარი მსჯელობის საგანია, ვინ წამოეგო პროვოკაციას? პროვოკატორი იმის პროვოკატორია, რომ მან შექმნას სიტუაცია, რომ შეუძლებელი იყოს მას დაუსხლტე. ზოგჯერ შეუძლებელიც კია, რომ პროვოკაციას არ წამოეგო, მაგრამ ეს ყველაფერი სპეციალისტმა უნდა გაარკვიოს.

***— თუმცა, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა, რომ აგვისტოს ომის თავიდან აცილება შეიძლებოდაო. ასეთ განცხადებებს აქამდე ექსპერტების ნაწილი აკეთებდა, მაგრამ ყოფილი მაღალჩინოსნის განცხადებას სხვა დატვირთვა აქვს. რას იტყვით ამ განცხადებაზე?***

— ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მეც ამ მოსაზრებას ვიზიარებ, მაგრამ რის ფასად? ეს არის ის მთავარი კითხვა, რომელიც ჩნდება. რასაკვირველია, ომის თავიდან აცილება იმ მომენტში შეიძლებოდა, მაგრამ ამას მოყვებოდა ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემა.

***— დამარცხებული ომის შემდეგ არ მოყვა?***

— უფრო დიდი დოზით მოყვებოდა ომის აცილების შემთხვევაში. დამარცხებული ომის შემდეგ, პირველ პერიოდში მაინც, სანამ ტალიავინის კომისია დასკვნას დადებდა, არანაირი კვლევა არ იყო, არც ტალიავინის კომისიას არ ჩაუტარებია საფუძვლიანი კვლევა, რა უძღვოდა ამ ყველაფერს წინ? რა იყო გამომწვევი მიზეზები? ტალიავინის კომისიის დასკვნა წინასწარვე ცნობილი იყო, რადგან ცნობილი იყო განწყობები. რაც შეეხება, შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება, უნდა გითხრათ, რომ ნებისმიერი ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. პირველი მსოფლიო ომის, მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. თუმცა, ხელისუფლება ძალიან კომპეტენტური და ძალიან აქტიური უნდა ყოფილიყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართულებით.

***— ხომ იყო ეს აქტიურობა?***

— არ იყო, აბსოლუტურად არ იყო.

***— ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჩამოვიდა და ხომ გააფრთხილა პრეზიდენტი, რომ ომი არ დაიწყოთო...***

— საქართველოს კონფლიქტი 90-იანი წლების შემდეგ ევროპას უკვე აღარც აინტერესებდა. ეუთოს მიანდეს ყველაფერი. კოკოითმა ეუთო წიხლზე დაიკიდა.

***— ამერიკის შეერთებული შტატები მაშინ უფრო აქტიური იყო. ასე არ არის?***

— ამერიკის საქციელს მთელ ამ პროცესში, ისტორია განსჯის. რუსეთი არავითარ შემთხვევაში ასეთ ფართომასშტაბიან ომს არ დაიწყებდა, რომ არა დარწმუნება, ამერიკა მხოლოდ ზრდილობის გულისთვის გემს გამოუშვებს და წყალს შემოიტანს. პუტინი პრაგმატიკოსია, ჩეკისტური აზროვნებით აზროვნებს, წინასწარი ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ღებულობს გადაწყვეტილებას. ასეც მოხდა, რუსეთს თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა, რომ ამერიკა გამოჩნდა. დღეს სიმართლის დადგენა შეუძლებელია. არ ვიცით, როგორი იყო ამერიკის როლი, არ ვიცით, ევროპის როლი როგორი იყო. ათასი ინფორმაცია გაჩნდა, რომელიც გადამოწმებას საჭიროებს.

***— კონკრეტულად?***

— მაგალითად, ბუშმა სარკოზის რომ უთხრა, აილოს რუსეთმა თბილისიო. საქართველოს იმ დროინდელი ხელისუფლების მთავარი დანაშაული ის არის, რომ მან ზუსტად ვერ გათვალა დასავლეთის დახმარების მასშტაბები. ჩვენ ზუსტად კონდოლიზა რაისისა და მიხეილ სააკაშვილის საუბრის შინაარსიც არ ვიცით. კონდოლიზა რაისმა თავის მემუარებში ორი წინადადებაღა დაწერა, რაც არაფერს არ ნიშნავს. დოკუმენტებზე სანამ საიდუმლო გრიფი არ მოიხსნება, მანამდე ვერაფერს გავიგებთ. კონდოლიზა რაისს სააკაშვილთან სამი საათი ჰქონდა საუბარი. საუბარი იყო თუ კამათი, ვერ გეტყვით, მაგრამ სანამ საუბრის ტექსტი ცნობილი არ გახდება, ვერაფერს გავიგებთ. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ სააკაშვილს ამერიკის პოზიცია ფეხებზე დაეკიდა. როგორ, კონდოლიზა რაისმა სააკაშვილს უთხრა – არ დაიწყო ომი, ჩვენ ვერ დაგეხმარებითო და სააკაშვილმა მაინც დაიწყო?! ეს წარმოუდგენელია. ამიტომ ვამბობ, დადგა დრო, რომ სააკაშვილმა სრული სიმართლე თქვას. თუ სააკაშვილს სურს პოლიტიკაში დარჩენა, თუ სააკაშვილს კიდევ სურს სამომავლოდ, წლების შემდეგ ქართველი ამომრჩევლის მხარდაჭერა, მაშინ მთელი სიმართლე უნდა თქვას. რატომ თქვა ომის წინა პერიოდში პუტინმა – სააკაშვილმა გადაგვაგდო. სააკაშვილი და პუტინი მშვენივრად შეხვდნენ ერთმანეთს. მახსოვს დიდი რეიტინგი, რომელიც სააკაშვილს ჰქონდა მოსკოვში. პოზნერის გადაცემაშიც მიიღო მონაწილეობა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა თქვა: ყველაფერზე შევთანხმდით პუტინთან, გარდა ტერიტორიებისა. რას ნიშნავდა ეს განცხადება? ეს ნიშნავდა იმასაც, რომ ნატოზეც შეთანხმდებოდნენ? ჩამოვიდა და სულ სხვა მესიჯები და განცხადებები გააკეთა.

***— თქვენ რას ფიქრობთ?***

— მე არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ სააკაშვილს მოსკოვში გაკეთებული განცხადებები ამერიკელებმა დაუწუნეს? პუტინი რატომ იყო ასე გაცოფებული ამ ყველაფრის მერე? არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ პუტინ-სააკაშვილის შეთანხმება დეზავუირებული იქნა სააკაშვილის მიერ. ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა სიმართლე ითქვას. ვიმეორებ, სააკაშვილმა სიმართლე უნდა თქვას. ასევე უნდა გავიგოთ, ვინ ვაჭრობდა იარაღით? ვინ გამდიდრდა ჩვენი დაღუპული ბიჭების, 150 ქართული სოფლის მიწასთან გასწორებით და 50 ათასი ახალი დევნილის ხარჯზე? ეს ხომ უნდა გავიგოთ?! ვინ ვაჭრობდა იარაღით, ეს იცის სააკაშვილმა და უნდა თქვას. რასაკვირველია, თუ მას სურს სახის შენარჩუნება, როგორც ქართველ პოლიტიკოსს, ეს უნდა თქვას, რაც არ უნდა მძიმე იყოს და რაც არ უნდა მისი ახლობელი ადამიანები იყვნენ ამ საქმეში ჩართული.

# „ნაციონალური მოძრაობა“ დაფინანსებას ბიზნესთან ასოცირებული პირებისგან იღებდა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ," პროექტის – „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ფინანსები საქართველოში, " ფარგლებში, დღეს, „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2012 წელს" - ახალი ანგარიში გამოაქვეყნა.**

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

ანგარიშში იმ ცხრა პოლიტიკური გაერთიანების წლიური ფინანსური დეკლარაციებია გაანალიზებული, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის ფარგლებში ხმების 1%-ზე მეტი მოაგროვეს.

ანგარიშის თანახმად, კვლევაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია და ფაქტი გამოიკვეთა. კონკრეტულად კი, 2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით), საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ საერთო ჯამში 4 მილიონ 607 ათასამდე ლარის შემოსავალი მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 13 მილიონ 434 ათასი ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ – 961 ათასი ლარი, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ კი – 337 ათასი ლარი მიიღო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიები, შემოსავლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებისა და შემოწირულებების სახით იღებდნენ.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შემომწირველებს, – 2012 წელს, მათ რიცხვში მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ, რადგანაც იურიდიული პირებისაგან შემოწირულებების მიღება კანონით აიკრძალა. მიუხედვად ამისა, ორგანიზაციის ხელთ არსებულ მონაცემთა ანალიზით დადგინდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 397, „ქართული ოცნების“ 33 და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების 10-მდე შემომწირველს, ბიზნესთან გარკვეული კავშირი აქვს.

„მაგალითად, სამშენებლო კომპანია „მოდერნ-ჰაუზი“, რომლის ორმა წარმომადგენელმა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 117 000 ლარი შესწირა, ასევე, ვლადიმერ გურგენიძემ, რომელიც „ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიას“ პარტნიორია და თემურ კოხოძემ, რომელიც „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანიების პარტნიორია, – ყოფილ მმართველ გუნდს 60 – 60 ათასი ლარი შესწირეს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ამდენივე შესწირა ეკატერინე ჩხაბერიძემ, რომელიც „გუდვილის“ გენერალური დირექტორია“ – ნათქვამია ანგარიშში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ პოლიტიკური პარტიების ხარჯებიც გამოიკვლია, რომლის ანალიზის თანახმადაც, 2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით), „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ საერთო ჯამში 6 მილიონ 200 ათასი ლარი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 3 მილიონ 500 ათასი ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ – 750 ათასი ლარი, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ კი – 250 ათასი ლარი დახარჯა. კვლევის თანახმად, პარტიებს ხარჯების ტიპოლოგიის მიხედვით განაწილება დივერსიფიცირებული აქვთ. მათი ხარჯების ძირითადი წილი კი, ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯებზე, რეკლამის ხარჯსა და შრომის ანაზღაურებაზე მოდიოდა.

ყოველივე ამ მონაცემების გათვალისწინებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გასული წლის სურათს აფასებს.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა პოლიტიკური ანგარიშსწორება უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯვის მონიტორინგის განხორციელება. არაერთხელ დაფიქსირდა ამ ორგანოს მიკერძოებული, შერჩევითი მიდგომა, ზოგ შემთხვევაში კი იგი ყურადღებას არც აქცევდა მაშინდელი მმართველი გუნდის საქმიანობას. რაც შეეხება წლიური დეკლარაციების გადამოწმებას, მიუხედავად არაერთი ხარვეზისა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ ანგარიშებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რეაგირება დღემდე არ მოუხდენია. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკურ პარტიასთან „დაკავშირებულ პირად“ ცნობილი სუბიექტების, მათ შორის, ააიპ „საქართველო არ იყიდება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, წლიური ანგარიშები არ გამოაქვეყნა, რითაც კანონი დაირღვა. რაც შეეხება საარჩევნო დაფინანსების შესახებ კანონმდებლობას, ის მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული წინა პერიოდთან შედარებით, თუმცა, მაინც იკვეთება სერიოზული პრობლემები. 2011 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ფინანსური დეკლარაციის ფორმები და მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები ვერ უზრუნველყოფდა სათანადო გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. დეკლარაციის ფორმებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამ მხრივ პრობლემები, თუმცა გარკვეული საკითხები კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას“ – ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.

**ნიუსპრესი**

# ნანული ბიბილაშვილი: „მომაქციონ ყურადღება, თორემ თავს დავიწვავ!“

**მერი ნამორაძე**

ნანული ბიბილაშვილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრების წევრი იყო ტყვიით სროლაში. ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები აქვს მიღებული. შავი ქამრის მფლობელია კარატეში. სპორტის აკადემიაში ლექციებს კითხულობდა წლების განმავლობაში. დღეს უმუშევარი, მარტოხელა და სოციალურად დაუცველია და დღემდე შეურაცხყოფილად თვლის თავს იმ შემთხვევის გამო, რომელიც 2011 წელს მოხდა. დიდმა გულისტკივილმა და სამართლის აღუსრულებლობამ ჩვენამდეც მოიყვანა და საუბრის ბოლოს დასძინა, რომ თავის მოკვლასაც არ მოერიდება, თუ მისი დამამცირებლები არ დაისჯებიან.

2011 წლის 20 სექტემბერს ვაჟა-ფშაველას ძეგლის მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსის გაჩერებაზე, დასუფთავების სამსახურის მანქანის მუშებმა ვერ უზრუნველყვეს ნაგვის ურნის დაკავება, რის გამოც ურნა ხანშიშესულ ქალბატონს დაეჯახა. ქალბატონმა ნანულიმ მარჯვენა ხელი მოიტეხა.

**ნანული ბიბილაშვილი:**

– გადავვარდი შუა ქუჩაში და ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი. ხალხმა გამოიძახა სასწრაფო და პატრული. რომ მოვიდა სასწრაფო, ექიმს არც შემოუხედავს, ისე მითხრა, მთვრალი ხარო. თვითონ იყო მთვრალი. პატრულიც მოვიდა.

***– არ გადაგიყვანათ სასწრაფომ სამედიცინო დაწესებულებაში?***

– შემიყვანეს მანქანაში. უფროსმა ექიმმა, ქეთევან გვენეტაძემ, ჩემი ბინის მისამართი ჩაიწერა და აღარც მინახავს, წავიდა. მეორე ექიმი პატრულს მიუბრუნდა და ეუბნებოდა, დაჭიმული აქვს ხელი და სახლში უნდა გავუშვათო. ამ დროს ხელი გასივებული და გაშავებული მქონდა, რუმბივით მედგა. მე, პირიქით, ვთხოულობდი – წამიყვანეთ საავადმყოფოში, რადგან ხელი მაქვს მოტეხილი-მეთქი. პატრული მეუბნებოდა, მომეცით თქვენი ტელეფონი, სახლში დავრეკავ, რომ წაგიყვანონო. ვუპასუხე – ვის უნდა დაურეკოთ, ცარიელ კედლებს-მეთქი? არ ესიამოვნა ეს ექიმს. შენი პოლისი მე ფეხებზე მკიდია, რაში მენაღვლებაო. ეს იყო ბაბალაშვილი მინდია, რომელიც მიყვიროდა, მეუბნებოდა – წადი სახლში და, როცა ხელი გეტკინება, ექიმთან მერე მიდიო. რა უფლება აქვს ექიმს, მითხრას, წადი სახლშიო, როცა ხელი მაქვს ჩამოვარდნილი, გასივებული და გაშავებული? ნუთუ ასეთი უვიცია ექიმი, რომ მოტეხილი ხელი დაჭიმულობაში ეშლება? ის ექიმი საერთოდ არ უნდა მუშაობდეს. მაგან დამღუპა, ვერც სასამართლო მოვიგე. გამიყინა ხელი, კალამი თავისი ხელით თითებს შუა ჩამადებინა და მომაწერინა ხელი, რომ არაფერი მჭირდა. მუქარა დამიწყო, თუ მოტეხილი არ გექნება ხელი, ჯარიმას გადაგახდევინებ ცილისწამებისთვისო. კარგი-მეთქი, თუ არ მექნება მოტეხილი ხელი, მე გადავიხდი, თუ არა და შენ-მეთქი.

***– გადაგიყვანეს კლინიკაში, ბოლოს და ბოლოს?***

– მერე ძალიან გამისივდა უკვე ხელი და წამიყვანეს ყიფშიძის სახელობის კლინიკაში. იქ შემხვდა კარგი ექიმი – ვაჟა კუხიანიძე. დამხედა თუ არა, მაშინვე თქვა, რომ მოტეხილობა იყო. წნევა 260-100-ზე მქონდა. ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა, რომ გონს მოვსულიყავი. დამიდგინდა მარჯვენა სხივის ძვლის დისტალური ბოლოს მოტეხილობა და მარჯვენა იდაყვის ძვლის სადგისებრი მორჩის მოტეხილობა. რამდენჯერმე მივწერე გიგი უგულავას, გადასცეს ჩემი წერილი სოციალურად დაუცველების განყოფილებას, იქიდან პასუხი ვერ მივიღე. კიდევ მივწერე.

***– და რას ითხოვდით?***

– ექიმის დასჯას ვითხოვდი. ამისთანა უვიცი ექიმი არ უნდა მუშაობდეს. გადასცეს ეს საკითხი მაგათ ცენტრს, რომლის უფროსი მაშინ იყო გიორგი თოდუა. გამომიგზავნეს შეტყობინება, სადაც ეწერა, რომ გვენეტაძეს გამოუცხადეს საყვედური. ვიკითხე, რატომ არ სჯით ბაბალაშვილს, მას საერთოდ ლიცენზია უნდა ჩამოერთვას-მეთქი. არ მოვუწერე ხელი და წავიდნენ. კიდევ არაერთხელ შევიტანე უგულავასთან განცხადება. ოპერატორები მეუბნებიან, განხილვაშიაო, პასუხი კი არ არის.

***– სასამართლოში რა მოთხოვნით განაგრძეთ დავა?***

– რომ დასჯილიყვნენ ექიმი, მენაგვეები და მოვითხოვე ზიანის ანაზღაურება. ამაზეც უარი მითხრეს, ყველაფერზე უარი მითხრეს. შოუ-კონცერტი იყო სასამართლოზე. არც მათი ადვოკატი იყო მოსული, ვინც დამარტყა. სულ უცხო ხალხი იყო და მეუბნებოდნენ, ალბათ, შენ ვიღაც ქალმა დაგარტყა, ადექი და იმას ეჩხუბებოდიო. რას სულელობთ-მეთქი. იქ მოსამართლე იცინოდა, იჯღანებოდა, შოუ-კონცერტი იყო. მენაგვეებმა, იცით, რა მითხრეს? ჩვენ საქმე ჩავაწყვეთო. როგორ ჩააწყვეს საქმე, მაინტერესებს. 50 ლარს მაძლევდნენ მენაგვეები, რომ ხმა არ ამომეღო და არ ავიღე, ალბათ, ექიმმა აიღო, რომ ეს ყველაფერი დამთავრებულიყო. ვამბობდი, გადამიყვანონ საავადმყოფოში, ყველაფერი გადაიხადონ და მომხედონ-მეთქი. არც მოსულან, არც გადაუხდიათ. სააპელაციო სასამართლომ, იცით, რა მომწერა? რატომ უჩივი მენაგვეებსო. ხელი მომტეხეს და მე მეჩხუბებიან კიდევ? ჯანდაცვის სამინისტროშიც შევიტანე განცხადება ექიმზე, რათა ჩამოერთვას ლიცენზია.

ვარ ღარიბი, მარტოხელა, ამხელა დამსახურება მაქვს, მხოლოდ პენსია და 30- ლარიანი შემწეობა გამაჩნია. ვცხოვრობ პირველყოფილი ადამიანივით. არც ტელევიზორი მაქვს, შვილო, გაფუჭდა მამაჩემის შეძენილი ტელევიზორი. მაცივარი „ოკაც“, რომელიც ჩვენებმა იყიდეს, გაფუჭებული დევს. უკვე იძულებული ვარ, ასე გადავწყვიტო – მერიასთან, ჟურნალისტების თანდასწრებით თავს მოვიკლავ. ბენზინს გადავისხამ!

# რა დარღვევები აღმოუჩინეს აფთიაქებს?

**მერი ნამორაძე**

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ვადაგასულ მედიკამენტებს კვლავ წააწყდებით. მართალია, შესაბამისი სამსახურები გაფაციცებულნი ცდილობენ მოსახლეობის დაცვას, მაგრამ ერთბაშად ყველა აფთიაქი ვერ შემოწმდება. ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა ისევ მომხმარებელსა და მის დაკვირვებულ თვალზეა ვადაგასული პროდუქტის ამოსაცნობად.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე განსაზღვრული წესების დარღვევის 41 ფაქტი გამოავლინა. მათ შორის 39 – ავტორიზებულ აფთიაქში, 1 სამედიცინო დაწესებულებასა და ერთი ფიზიკური პირის მიერ. კონტროლი განხორციელდა 1 იანვრიდან 1 აპრილის ჩათვლით ფარმაცევტული

საქმიანობის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მიერ.

შემოწმებული დაწესებულებებიდან 35 შემთხვევაში დაფიქსირდა პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დარღვევა (მათ შორის 6 განმეორებით); 35 დაწესებულებიდან სათანადო დოკუმენტაციის (რეცეპტი ფორმა 2 და მოთხოვნა მინდობილობის) გარეშე გაცემული აღმოჩნდა 6 180 600 ერთეული ფსიქოტროპული ნივთიერება და ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველი კომბინირებული სამკურნალო საშუალება. 24 დაწესებულებაში კი აღრიცხვის დადგენილი წესების დარღვევა (მათ შორის 3 განმეორებით) გამოვლინდა.

22 აფთიაქს I ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი ჩამოართვეს. სულ ჩამორთმეულია აღრიცხვის წესის დარღვევით არსებული 22 695 ერთეული ფარმაცევტული პროდუქტი.

რაც შეეხება ვადაგასულ პროდუქტს, სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, ჩამორთმეულ იქნა ასეთი 105 ერთეული ფარმაცევტული პროდუქტი და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე 120 ერთეული ფარმაცევტული პროდუქტი. განხორციელდა ავტორიზებული აფთიაქების სანებართვო პირობების კონტროლიც, რის შედეგადაც სამართალდარღვევის 11 ფაქტი გამოვლინდა. უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში ფარმაცევტული ბაზრის ზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები 6 ავტორიზებულ აფთიაქში განხორციელდა შსს-ს თანამშრომლებთან ერთად. როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში ამბობენ, მასობრივი შემოწმების შედეგად ერთსა და იმავე დაწესებულებაში დაფიქსირდა რამდენიმე სხვადასხვა ტიპის სამართალდარღვევის ფაქტი.

გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები დადგენილი წესით განსახილველად შესაბამის საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს გადაეგზავნა. მათ მიერ გამოტანილი დადგენილებების მიხედვით, სახდელის სახით დადებული ჯარიმის ოდენობამ, დღეის მდგომარეობით, 30 იურიდიულ პირზე 96 600 ლარი შეადგინა, 11 საქმე კი განხილვის პროცესშია (სავარაუდო სახდელის ოდენობა – 39 800 ლარი).

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება.

# პოლიციამ ცხრა ავტომანქანის გაქურდვაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, ქურდობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული გიორგი ს. და 1993 წელს დაბადებული ლაშა დ. დააკავეს.

დაკავებულებმა 4 აპრილს, თბილისში, დედოფლისწყაროს, წურწუმიას და ქურხულის ქუჩებზე, ღამის საათებში, ცხრა სხვადასხვა მარკის ავტომანქანის მინა დააზიანეს და მაგნიტოფონები, პანელები და პულტები მოიპარეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მეტრო-სადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ნაქურდალი ნივთები. ჩადენილ დანაშაულს ორივე ბრალდებული აღიარებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის (ქურდობა) მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 1-ლი განყოფილება აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენ გვყავს მთავრობა რომელსაც დამოუკიდებლობის აღლუმის ჩატარება ეთაკილება“




საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, დღეს საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელსაც დამოუკიდებლობის აღლუმის ჩატარება ეთაკილება და ამას ღიად აცხადებს.

ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთში ვიზიტის დროს გააკეთა. მისივე თქმით ყოველივე ეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ღირსებას ფეხქვეშ თელავს.

„ჩვენ პრაქტიკულად გასული ვიყავით სამშვიდობოზე და ახლა არ ვქნათ ისე, რომ ჩვენი ახალი დროის ორჯონიკიძეების ხელით, საქართველომ თვითონ ჩააბაროს მტერს დამოუკიდებლობის გასაღები, თვითონ დაუშვას საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა და თვითონ აიღოს ხელი თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე“-განაცხადა პრეზიდენტმა პოლონეთში ვიზიტის დროს.

**ნიუსპრესი**

# ქუთაისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს, ტყიბულის რაიონული სამმართველოსა და იმერეთის კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში ყაჩაღობისთვისნასამართლევი, 1992 წელს დაბადებული გიორგი ხ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინდა, რომ დაკავებულმა, 2013 წლის 11 აპრილს, ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბლაგვი საგნით თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა 1965 წელს დაბადებულ დავით წიქარიშვილს. გიორგი ხ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მოკლულის ზურგჩანთა, მობილური ტელეფონი და საფულე გაიტაცა. სამართალდამცველებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლით მიმდინარეობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პრესსამსახურის ინფორმაციითვე, ძიების მსვლელობისას შესაძლოა საქმე გადაკვალიფიცირდეს და გიორგი ხ-ს სისხლის სამართლის სხვა მუხლებითაც წარედგინოს ბრალდება.

**ნიუსპრესი**

# გიორგი გაჩეჩილაძე: „საქართველო ეკოციდს გადაურჩა“

## საკონსტიტუციო სასამართლომ მწვანეთა პარტიის ლიდერის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა

გულიკო ბალაძე

2013 წლის 10 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მწვანეთა პარტიის ლიდერის, ამჟამად უკვე პარლამენტის წევრის გიორგი გაჩეჩილაძის მხრიდან აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 5710 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და დაინტერესებულ პირს შორის შესაძლებელია დაიდოს შეთანხმება. შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ყველა ქმედება ითვლება კანონიერად. ამავდროულად, ამ პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია პირის მიერ განხორციელებული ქმედებების შემოწმება და მის მიმართ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სამოქალაქო, ანდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების), ასევე რაიმე სახის ვალდებულების, მოსაკრებლის დაკისრება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი. კერძოდ:

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით) კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთანხმების ინსტიტუტი, რომლითაც, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ყველა ქმედება ითვლება კანონიერად, ხოლო აღნიშნული შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისად ჩათვალა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის არსებული ფორმულირების პირობებში, გაურკვეველია, რა პერიოდით იდება შეთანხმება. შესაძლებელია ნორმები განიმარტოს იმგვარად, რომ პირმა მომავალში ზიანი მიაყენოს გარემოს და არ დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც კონსტიტუციური უფლების დარღვევას იწვევს.



მოსარჩელის აზრით, გასაჩივრებული დებულება ასევე ხელს უშლის სახელმწიფოს, შეაგროვოს და მოსახლეობას მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, რაც ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები განამტკიცებენ ადამიანის უფლებას ბუნებრივ გარემოზე და ადგენენ ყველას ვალდებულებას, გაუფრთხილდეს მას.

თავის მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ჩადენილი ქმედების ადეკვატური სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებანი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული სამართალდარღვევისთვის შესაბამისი სანქციის შერჩევისას, სახელმწიფოს ფართო მიხედულება აქვს. თუმცა, სანქცია იმგვარად არ უნდა იყოს გამოყენებული, რომ დაკარგოს თავისი მიზანი და დანიშნულება. სადავო ნორმის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი კარგავს განცდას, რომ შესაძლებელია, გარემოსთვის ზიანის მიყენების სანაცვლოდ, პასუხისმგებლობა დაეკისროს.

პირისთვის ამგვარი თავისუფლების მინიჭება კონფლიქტში მოდის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან, უზრუნველყოს გარემოს დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს შესანარჩუნებლად, რითაც იზღუდება ხსენებული კონსტიტუციური უფლებები.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, არ გამოიკვეთა ლეგიტიმური მიზანი (მიზნები), რომლის მისაღწევადაც აუცილებელი იყო კანონმდებლის მიერ ამგვარი რეგულირების შემოღება. მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ რაიმე ლეგიტიმური მიზანი რომც არსებობდეს, სადავო ნორმების არსებული რედაქციის პირობებში შეუძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ დაცულია გონივრული ბალანსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების შეზღუდვასა და სადავო ნორმის მოქმედების პოზიტიურ ეფექტებს შორის. შესაბამისად, სადავო ნორმები ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში პირის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ქმედების შემოწმების აკრძალვა ხელს არ უშლის იმ საკანონმდებლო მექანიზმების პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებიც გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას.

გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ საქართველო ეკოციდს გადაურჩა.

– 2013 წლის 10 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „მწვანეთა პარტიის“ ეკოლოგიური სარჩელი დააკმაყოფილა და ანტიკონსტიტუციურად ცნო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2012 წლის 20 მარტს მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ მეწარმე მთავრობას გადაუხდიდა თანხას, მის მიერ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში“ ჩადენილი ყველა დანაშაული ეპატიებოდა და ჩაითვლებოდა კანონიერად.

2012 წლის 20 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ მეწარმე მთავრობას გადაუხდიდა განსაზღვრულ თანხას, მის მიერ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ყველა ქმედება ჩაითვლებოდა კანონიერად“ და მას „არ დაეკისრებოდა სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მათ შორის, ჯარიმა ანდა ზიანის ანაზღაურება, ასევე რაიმე სახის ვალდებულება, მოსაკრებელი“ – აღნიშნა გიორგი გაჩეჩილაძემ.

გიორგი გაჩეჩილაძემ „საკონსტიტუციო სასამართლოში“ 2012 წლის 4 აპრილს შეიტანა სარჩელი, რომლის თანახმადაც, მიღებული კანონი საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ბუნებას, მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და ეწინააღმდეგებოდა „საქართველოს კონსტიტუციის“ 37-ე მუხლს, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. ასევე „სახელმწიფო, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას, საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად“.

ამას გარდა, ზემოხსენებული კანონის მიხედვით, დაუშვებელი იყო პირის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი ქმედების შემოწმება.

გიორგი გაჩეჩილაძე „საკონსტიტუციო სასამართლოსაგან“ ითხოვდა, 2012 წლის 20 მარტის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას და მისი მოქმედების შეჩერებას.

ცნობისთვის: ფულის გადახდის შემთხვევაში, დამნაშავეს ეს კანონი ათავისუფლებდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 100-მდე სხვადასხვა მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობისგან, მათ შორის, ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, როგორიცაა:

– საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე; გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას;

წყლის ობიექტის თვითნებური დაკავება, წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენების ნაყარის ჩაყრა; სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა. სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება;

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ნორმების გადამეტებით ან ამ ნორმების უქონლობისას და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება.

აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, აგრეთვე ამ მოწყობილობათა გამოუყენებლობა; საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი;

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის თვითნებური დაკავება, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება, უკანონო ტყითსარგებლობა; სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით, რასაც ტყის გახმობა ან დაავადება მოსდევს; ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე;

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მიწის გაუვარგისება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, მისი ჩამდინარე წყლით დაბინძურება, სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება, ანდა მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა.

უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, გარეულ ცხოველთა დერივატებით და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა, თევზჭერისა და ნადირობის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა; ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა.

დაცული ტერიტორიები, წითელი ნუსხა – დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არამიზნობრივი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება; საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ანდა ამ ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) მოპოვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ პირობათა დარღვევით, მათი უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება.

ზღვის დაბინძურება, ხმელეთიდან ზღვაში საყოფაცხოვრებო ნაგვის ან სხვა ნარჩენების ჩაყრა, ხმელეთიდან ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ზღვის დაბინძურება ან დანაგვიანება.

სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გაუარესება, წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე; წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება.

თბილისის და სხვა თვითმმართველ ტერიტორიებზე თვითმმართველი ერთეულის იერ-სახის დამახინჯება – ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა.

ამ ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს თუ რამდენ უბედურებას გადაურჩა ჩვენი ქვეყანა ნაციონალების ხელისუფლების მმართველობიდან ჩამოშორებითა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11 სერ.11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ)16.00 სერ. „დამალული სიმართლე„17.50 სერ. „თილისმა„18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 8 სერ.21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში23.00 მხ/ფ „ნიკო – აპოლოდისმენტი„ 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„11.00 სერ. „იდუმალი ქალი„12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 „შუა დღე„17.00 სერ. „ვნების უფსკრული„18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„20.05 სერ „ერთგულების ძალა„22.00 ნანუკას შოუ.23.30 სერ. „გრიმი„ 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „პრემიერა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ბათა ქექია„ I სერია 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ძმა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „წმინდა დიმიტრი ყიფიანი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „გაქცევა შოუშენკოდან„ I ნაწ.

მაესტრო 7.00, 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 7.30 მულტფილმი 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00 მაგთიფანი (სამშ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 გადაცემა „ჩვენ„ 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.15, 2.00 თოქ-შოუ „არგუმენტი„ 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

## ხუთშაბათი 18 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ„21.00 ტ/სერ „როსელა„22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ხელები ქალაქზე„ 02.40 დ/სერ „მარიხუანას პარადოქსები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ)19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 15 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 13 სერ.11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„13.00 დოკ/ფ „მოდის ფანატიკოსები„ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ)16.35 რომ გადახვალ„ გააჩერე (გ/ჩ)17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 10 სერ.21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„11.00 სერ. „იდუმალი ქალი„12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი12.30 „შუა დღე„15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„20.05 სერ „ერთგულების ძალა„20.50 ეროვნული ლატარეა22.00 პოზიცია23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „გაქცევა შოუშენკოდან„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ „საქართველოს ცის ქვეშ„ დავით ჭკადუა 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ცისკრის ზარები„ 13.15 კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „უკანასკნელი ჯვაროსნები„ 17.25 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „არ დაიჯერო, რომ აღარავარ„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00 მაგთიფანი (ხუთშ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ—შოუ -„პოლიტმეტრი„

## პარასკევი 19 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ„21.00 ტ/სერ „როსელა„22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ხელები ქალაქზე„ (ტიტ.) 02.40 დ/სერ „მარიხუანას პარადოქსები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ)19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 15 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 ს დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 ს დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 13 სერ.11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„13.00 დოკ/ფ „მოდის ფანატიკოსები„ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ)16.35 რომ გადახვალ„ გააჩერე (გ/ჩ)17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 10 სერ.21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„11.00 სერ. „იდუმალი ქალი„12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი12.30 „შუა დღე„15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„20.05 სერ „ერთგულების ძალა„20.50 ეროვნული ლატარეა22.00 პოზიცია23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „გაქცევა შოუშენკოდან„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ „საქართველოს ცის ქვეშ„ დავით ჭკადუა 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ცისკრის ზარები„ 13.15 კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „უკანასკნელი ჯვაროსნები„ 17.25 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „არ დაიჯერო, რომ აღარავარ„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მალვიძარა 11.00 მაგთიფანი (ხუთშ. სერია) 11.30, 16.40 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 17.00 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 19.15 სერიალი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 22.20, 0.30 მაგთიფანი 23.00, 3.00 თოქ—შოუ -„პოლიტმეტრი„

## შაბათი 20 აპრილი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფ „ ნენსი დრიუ„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 16.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„13.00 ქართ. მხ/ფ „ლაქა„ 15.00 დ/ფ „ღვინო„ 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 „ევროვიზიის დღიური„ 21.30 დ/ფ „დიზაინი„ 22.00 თ. ყვითელაშვილი 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.20 მხ/ფ „სუსა„ 00.30 მხ/ფ „ქალაქი„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00,10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „მეხისმტ ყორცნელი და ვინეტუ„ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — მ. მონტესორი 20.00 მხ/ფ „განრისხებული ფანტომასი„ (ჟ.მარე)22.00 ტ/სერ. „მდივნები მეექვსე სართულიდან„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „10.000 წელი ჩვენს ერამდე„

07.40 ან/ფ „სალადინი„ 08.40 მხ/ფ „ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა11.15 ან/ფ „ავატარი„12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„13.00 იუმორინა 14.20 ატორი (გ/ჩ)16.00 ქ/სერ. „ეჰ„ მეგობრებო" 1 სერ. 17.50 სერ. „თილისმა„18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 11 სერ.21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „კარგი ქალი„ 01.40 მხ/ფ „ბოროტების სავანე – 3' „

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 სერ. „კლუბი„ (ს2)10.30 შერეკილები12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი12.30 ბიზნეს კურიერი13.30 ქართ. მხ/ფ „რა გაცინებს„15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ)19.00 ყველაზე ჭკვიანი 2.20.05 სერ. „ერთგულების ძალა„22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels" 01.30 სერ. „გრიმი„ 02.00, 04.30 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „პლანეტა დედამიწა„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „არ დაიჯერო, რომ აღარავარ„ 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „ჰამლეტ გონაშვილი„ 14.30 სალვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-„სტეფალიო„ 17.30 თბილისის ტაძრები 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი„ 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ „რებეკა„

მაესტრო 7.00 ახალი ამბები 7.30 მულტფილმი 8.00 მალვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 11.00, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 სთ-ზე 12.30, 14.00, 15.30, 16.15, 19.15 სერიალი 15.00 ახალი ამბები 3 სთ-ზე 18.00 ახალი ამბები 6 სთ-ზე 18.30 მონიტორი ან დოკ. ფილმი 21.00 ახალი ამბები 9 სთ-ზე 21.45, 1.30, 5.30 „პრეს-პრესი„ 23.30, 1.00, 3.00, 5.00, 6.30 ახალი ამბები კოლაჟი 0.00, 4.00 ღია კარის დღე 0.30, 4.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.)

## კვირა 21 აპრილი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 საბ/ფ „ მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 „სპექტაკლის დრო„ — შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: „რიჩარდ III „ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 პაატა ბურჭულაძე, თამარ ივერი 20.00 მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს„ (კ.ზეტა-ჯონსი) 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ზაბრისკი პოინტი„

08.00 დ/ფ „წელიწადის დრონის ფენომენი„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „პატარა პრინცესა„11.45 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ„ (ჟ.მარე)13.25 მხ/ფ „გრაფი მონტე-კრისტო„ (ჟ.მარე) 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი)18.00 მხ/ფ „ბინგო ბონგო„ (ა. ჩერლენტანო) 20.00 მხ/ფ „აკირა კუროსავას სიზმრები„22.00 ტ/სერ. „დედა„ I სერ. 23.00 მხ/ფ „წმინდა ვალენტინის დღე„ (ტიტ.) (ჯ.ალბა)

07.00 ან/ფ „სალადინი„ 07.30 ან/ფ „ბარბი: ფერიების ქვეყანა „ 08.50 მხ/ფ „სახლში მარტო დარჩენილი - 3„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა11.15 ბასტი ბუბუ12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„13.00 იუმორინა (გ/ჩ)14.20 ქ. მხ/ფ „იმერული ესკიზები„ 16.00 ქ/სერ. „ეჰ„ მეგობრებო'' მე–2 სერ. 17.40 ს გმირები 18.00 კონცერტი: თამარ ჭოხონელიძე21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ„ გააჩერე 23.30 ატორი 01.00 დოკ/ფ „ღვინის აკვანი„

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 სერ. „კლუბი„10.30 შიშის ფაქტორი12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი)13.00 „საქართველოს ვარსკვლავი„.15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„16.30 პროფილი (გ/ჩ)19.00 ეკი ვოკი20.00 იღბლიანი ბორბალი21.00 P.S.22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 01.30 სერ. „გრიმი„ 02.30, 05.00 მხ/ფ კლიპები

„ერთსულოვნება„ 21 აპრილი კვირა 06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ცისკარა„ 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.20 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ „ქალაქი ანარა„ 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.35 მხ/ფ „ნისლების სანაპირო„

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 მალვიძარა (კოლაჟი) 10.15 ღია კარის დღე (გამ.) 11.00 მაგთიფანი (შაბათის სერია) 12.00 ახალი ამბები 12 სთ-ზე 12.30, 14.00, 15.30, 16.15 სერიალი 15.00 ახალი ამბები 3 სთ-ზე 18.00 ახალი ამბები 6 სთ-ზე 18.15, 4.00 სტუდია „რე„ 19.30, 0.30 მონიტორის ჟურნალისტური გამეორება 20.00, 23.30, 5.30 „ჩვენ„ 21.00 ახალი ამბები 9 სთ-ზე 21.45, 1.30 კვირის აბები 22.20, 2.00 ღია კარის დღე 23.00, 3.30 მაგთიფანი 1.00, 3.00, 5.00, 6.30 ახალი ამბები კოლაჟი

# იური ლუცენკო გაათავისუფლეს

## (უკრაინის პრეზიდენტმა ევროკავშირის გაფრთხილება ყურად იღო)



– ევროკავშირის მოთხოვნამ შედეგი გამოიღო და უკრაინის ექს შინაგან საქმეთა მინისტრი ლუცენკო გაათავისუფლეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

იური ლუცენკო როვნოელია (დასავლეთი უკრაინა). მიუხედავად ამისა, ამან ხელი არ შეუშალა ალექსანდრე მოროზს, სოციალისტური პარტიის წევრი გამხდარიყო. ეს პარტია, რბილად რომ ვთქვათ, შორს იდგა ეროვნული იდეალებისაგან. ლუცენკო კარგა ხანს ჩრდილში იმყოფებოდა. მისი პერსონა ფართო საზოგადოებისათვის მხოლოდ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის გაუჩინარების გამო აზვირთებული აქციებისას გახდა ცნობილი. ნარინჯისფერი რევოლუციის დროს კი ლუცენკო ჩრდილიდან საბოლოოდ გამოვიდა.

– ის დაფიქსირდა, როგორც რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი და მთლიანად დაჩრდილა თავისი პარტიის ლიდერი მოროზი, – წერს „დენ“-ი.

რევოლუციის შემდეგ იუშჩენკომ ლუცენკო შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა. ამან ბევრი საგონებელში ჩააგდო. საქმე მხოლოდ ის როდი იყო, რომ ლუცენკო ყოფილი სოციალისტი გახლდათ (მინისტრად დანიშვნის შემდეგ მან პარტიის რიგები დატოვა). მთავარია, რომ ლუცენკო სპირტიან სასმელს ზომაზე მეტად ეტანებოდა. მიუხედავად ამისა, იუშჩენკომ ნარინჯისფერი რევოლუციის ერთ-ერთი გმირი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

ახალმა მინისტრმა ნარინჯისფერთა ოპონენტების მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა. მალე გისოსებს მიღმა აღმოჩნდა როგორც კუჩმასთან დაახლოებული მრავალი პირი, ასევე რეგიონალთა ბევრი აქტივისტიც. ამან ლუცენკოს უამრავი მტერი შესძინა, თუმცა პრეზიდენტი იუშჩენკო მისი მუშაობით კმაყოფილი იყო.

– იუშჩენკოს მოსწონდა ის შეურიგებელი დამოკიდებულება, რომელსაც ლუცენკო რეგიონალების მიმართ იჩენდა, – იტყობინებოდა ბი-ბი-სი.

როგორც ცნობილია, ნარინჯისფერებმა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები წააგეს. რეგიონების პარტიამაც ლუცენკოზე ახალი იერიში მიიტანა. იანუკოვიჩმა შეძლო სოციალისტური პარტიის ლიდერ ალექსანდრე მოროზის მიმხრობა. მოროზი კარგა ხანია ეჭვით შეჰყურებდა თავისი ყოფილი თანაპარტიელის აღზევებას. შედეგად პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრს უნდობლობა გამოუცხადა. ლუცენკოც ოპოზიციონერის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა.

– იულია ტიმოშენკოსთან ერთად მან დაიწყო ენერგიული მოქმედება პარლამენტის დაშლისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სწორედ ამ დროს გამოიკვეთა ტანდემი ლუცენკო-ტიმოშენკო. ის, რომ ნარინჯისფერთა ერთობა, მართალია, ხანმოკლე დროით, მაგრამ მაინც აღდგა, ლუცენკოს დამსახურებაა. სწორედ მან დასვა ერთად ტიმოშენკო და იუშჩენკო. ექსპერტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ლუცენკომ შეუძლებელი შეძლო. ნარინჯისფერთა რიგებში ერთიანობის აღდგენამ შესაძლებელი გახადა არჩევნების, მართალია, მცირე უპირატესობით, მაგრამ მაინც მოგება. შედეგად იანუკოვიჩი პრემიერობას ჩამოაშორეს, იულია ტიმოშენკო პრემიერ-მინისტრის კაბინეტში დაბრუნდა, ლუცენკო კი კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.

უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, გენერალი სკიპალსკი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ იუშჩენკოს ლუცენკოს მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და მის მინისტრად დაბრუნებასაც ამიტომ დათანხმდა. იმაში, რომ ტიმოშენკო-იუშჩენკოს შორის ბრძოლა მალე განახლდებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. ასეც მოხდა. იუშჩენკომაც ფარული ალიანსი გააბა იანუკოვიჩთან. უკრაინის პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებდა, რათა ტიმოშენკოს საპრეზიდენტო არჩევნებში არ გაემარჯვა. ლუცენკომ კი ტიმოშენკოს მხარე დაიჭირა. მალე შინაგან საქმეთა მინისტრის გარშემო სკანდალები აზვირთდა.

– დიდი რეზონანსი შეიძინა ლუცენკოს კონფლიქტმა კიევის მაშინდელ მერ ჩერნოვეცკისთან. საქმე ხელჩართულ დაპირისპირებამდე მივიდა და მთვრალმა ლუცენკომ ჩერნოვეცკის სცემა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამას დაემატა სკანდალი გერმანიაში. შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე გერმანელ პოლიციელებს დაუპირისპირდა. კადრები, რომლებზეც გამოსახული იყო გალეშილი ლუცენკო, ევროპის ტელეეკრანებზე მოხვდა. ბუნებრივია, რეგიონალებმა სცადეს ამ ამბის გამოყენება, მაგრამ ამას გააფთრებით შეეწინააღმდეგა უკრაინის მაშინდელი პრემიერი ტიმოშენკო. იულია ვლადიმიროვნამ შეძლო „ნაშა უკრაინას“ დეპუტატთა გარკვეული ნაწილის მიმხრობაც. შედეგად ლუცენკო თავის პოსტზე დარჩა.

მალე უკრაინულ პრესაში ახალი სენსაციური ინფორმაცია გამოჩნდა: ლუცენკო საქართველოსთან ვიზის შემოღებას ითხოვდა. მიზეზი ძველი და გაცვეთილი იყო – თბილისიდან უკრაინაში კანონიერი ქურდები ჩამოდიანო. თავად ლუცენკომ თავის ტელეინტერვიუში ეს ცნობა კატეგორიულად უარყო და მტრების (რეგიონების პარტიის) ინტრიგებს მიაწერა.

ლუცენკო ბოლომდე ტიმოშენკოს ერთგული დარჩა. შინაგან საქმეთა მინისტრი ყველაფერს აკეთებდა, რათა უკრაინის ახალი პრეზიდენტი იულია ტიმოშენკო გამხდარიყო. ამან განაპირობა კიდეც მისი კონფლიქტები როგორც პრეზიდენტ იუშჩენკოსთან, ასევე რეგიონალებთან. სწორედ ლუცენკოს ხალხმა დააკავა კიევის აეროპორტში უკრაინის უშიშროების სამსახურის უფროსის მაშინდელი პირველი მოადგილე ვალერი ხოროშკოვსკი. ეს უკანასკნელი იანუკოვიჩის გუნდის წევრი იყო. მისმა დანიშვნამ ტიმოშენკო გააცოფა. შედეგად კიევის აეროპორტში ხსენებული ინციდენტი მოხდა.

– მართალია, ხოროშკოვსკი გაათავისუფლეს, მაგრამ იანუკოვიჩს ტიმოშენკოსა და ლუცენკოზე ბოღმა სამუდამოდ ჩარჩა, – იტყობინება „ინტერი“.

როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში იანუკოვიჩმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ ტიმოშენკო და ლუცენკო გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. იანუკოვიჩმა ხომ მათი წყალობით არაერთი მწარე წუთი გადაიტანა. ახლა შურისძიების ჟამი დადგა.

– დასავლეთი ამ დაჭერამ აღაშფოთა, – წერს „ზერკალო ნედელი“, – რადგან პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა თავის მტრებს პირადი ანგარიში გაუსწორა.

დასავლურ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა მასალები უკრაინაში „შერჩევითი მართლმსაჯულების“ შესახებ. მათი ავტორები სამართლიანად ამბობენ, რომ, მართალია, ლუცენკო და ტიმოშენკო ანგელოზები არ არიან, მაგრამ „რეგიონების პარტიაში“ მათზე არანაკლები დამნაშავენიც არიან და მათ არავინ ეხება, რადგანაც იანუკოვიჩთან კარგი ურთიერთობა აქვთო.

– იანუკოვიჩი მოქმედებს პრინციპით: ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი, – წერდა „ტაიმსი“, – ამიტომ საუბარი უკრაინულ დემოკრატიაზე, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა. დემოკრატია ხომ კანონის უზენაესობის გარეშე არ არსებობს!

ყველაფერმა ამან ხელი შეუშალა უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირებას. მისი პარაფირება რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს ის მაინც მოხდა, მაგრამ პრეზიდენტ იანუკოვიჩს გარკვევით განუცხადეს: თუკი ტიმოშენკოსა და ლუცენკოს არ გაათავისუფლებენ, რატიფიკაციაზე ლაპარაკიც შეუძლებელიაო.

– ამან შედეგი გამოიღო, – წერს „უკრაინსკა პრავდა“.

უკრაინის პრეზიდენტმა შეიწყალა ლუცენკო, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე კრიტიკული იყო. ამას დასავლეთის დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ევროკომისარმა შტეფან ფიოლემ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის ამ ნაბიჯს მიესალმება. ამრიგად, ლუცენკო თავისუფალია. გაათავისუფლებენ თუ არა ტიმოშენკოსაც? ამის თაობაზე ექსპერტებს სკეპტიკური შეხედულებები აქვთ:

– ტიმოშენკო პოპულარული პოლიტიკოსია, ამიტომ იანუკოვიჩისათვის საშიშროებას წარმოადგენს, – თვლის უკრაინელი ექსპერტი ფისენკო, – ლუცენკო სხვა საქმეა. მას არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია. მართალია, იანუკოვიჩს მისი განცხადებები აღიზიანებს, მაგრამ რეალურ პრობლემებს ლუცენკო მას ვერ შეუქმნის.

ექსპერტები თვლიან, რომ ლუცენკოს გათავისუფლებით იანუკოვიჩმა დასავლეთისაკენ ნაბიჯი გადადგა. უკრაინის პრეზიდენტს სურს დასავლეთის მომადლიერება, რათა ამ უკანასკნელმა თვალი დახუჭოს უკრაინაში მიმდინარე რიგ პროცესზე, კერძოდ, ხელისუფლების სურვილზე, ჩაატაროს რეფერენდუმი ამჟამინდელი საარჩევნო სისტემის შესაცვლელად. შედეგად პარტიულ სიებს მთლიანად მაჟორიტარებით ჩაანაცვლებენ.

– ამ შემთხვევაში იანუკოვიჩის ჯიბის პარლამენტს მივიღებთ, – თვლის ვიტალი კლიჩკო.

ლუცენკოს გათავისუფლებით იანუკოვიჩს სურს, დასავლეთის მოსალოდნელი ნეგატიური რეაქცია გაანეიტრალოს.

– ლუცენკოს შეწყალებით იანუკოვიჩს სურს, ერთგვარი გაცვლა განახორციელოს. ის დასავლეთს ეუბნება, რომ მისი აზრი გაითვალისწინა და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გაათავისუფლა. თქვენც სანაცვლოდ რაღაც-რაღაცებზე თვალი დახუჭეთო, – ამბობს „რადიო თავისუფლება“.

ამრიგად, ლუცენკო პრეზიდენტმა შეიწყალა, იულია ტიმოშენკო კი ჯერჯერობით გისოსებს მიღმა რჩება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იულია ვლადიმიროვნასაც შეწყალებით გაათავისუფლებენ, მაგრამ ეს მხოლოდ 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება.

უკრაინაში ბრძოლა გრძელდება. ერთი მხრივ, რუსეთი ქვეყანაზე გავლენის აღდგენას ცდილობს, მეორე მხრივ, ამას ემატება უკრაინის შიგნით გაჩაღებული დაპირისპირება, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობა. როგორ აისახება ეს ქვეყანაზე, მომავალი გვიჩვენებს.

**ნიკა თევზაძე**

# სამგლოვიარო განცხადებები



### დავით საბაშვილი

წავიდა კიდევ ერთი უკეთილშობილესი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, კაცური კაცობის ეტალონი, დავით ხარიტონის ძე საბაშვილი. დასანანია, რომ დღეს მისი ხსენება წარსულში გვიწევს, არადა, თითქოს გუშინ იყო, რომ მას სიცოცხლეში გადავუხადეთ მოკრძალებული მადლობა იმ ღვაწლისათვის, აურაცხელი სიკეთისათვის, რასაც ლანჩხუთელებისათვის აკეთებდა. იგი რაიკომის პირველ მდივნად 15 წელიწადი ღირსეულად, უმწიკვლოდ ემსახურა ლანჩხუთსა და ლანჩხუთელებს.

თუმცა, ადამიანი ისე მიდის ამქვეყნიდან, როგორც დაწერილია მასზე, მას კი ღმერთმა დააწერა მოყვასის სიყვარული, მათდამი უანგარო სამსახური, რომელიც პირნათლად შეასრულა. ადამიანებისადმი გულთბილი სიყვარულითა და პატივისცემით განვლო თავისი ლამაზი ცხოვრება, იღვაწა ისე, როგორც მისი მოწოდება იყო – „დარჩით ჩემს სიყვარულში“ და მართლაც მის სიყვარულში დაგვტოვა ღმერთმა. მისი გული კი კეთილი საგანძურივით იყო და სიკეთეს თესავდა.

წავიდა და თან გაიყოლა ლანჩხუთელთა წრფელი ცრემლები, მათი სიყვარული, მათთან გატარებული წლები და დღეიდან ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ სულითა და გონებით მის ნათელ მოსაგონრად.

ღმერთმა ცათა სასუფეველში ამყოფოს მისი სული!

**ლანჩხუთის საზოგადოება**



ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე გულისტკივილით თანაუგრძნობენ მაგული, მაიკო და გურამ მიქაძეებს მეუღლის, მამისა და ძმის, დიდებული პიროვნების

**გივი**
**მიქაძის**

გარდაცვალების გამო



### შალვა რეხვიაშვილის გახსენება

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყანაზე. ტკივილი, რომელიც შენმა უეცარმა და მოულოდნელმა გარდაცვალებამ მოგვაყენა, ვერაფრით შუშდება, უშენობა გაუსაძლისი ხდება, ჩვენო უსაზღვროდ მოსიყვარულე, თბილო, მზრუნველო და კეთილი „ბაბუ“. შენ ხომ დღენიადაგ შენს მეუღლეზე, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნავდი... პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს – 14 აპრილს. ამ დღეს ცრემლებითა და ყვავილებით მოგილოცავთ, სანთლებს აგინთებთ და უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი. მუდამ იცოცხლებ შენი ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ყველა იმ ადამიანის ხსოვნაში, რომლებიც შენ ძალიან გიყვარდა. ცათა სასუფეველში გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო უსაყვარლესო „შალვა ბაბუ“.

**შენი მოსიყვარულე მეუღლე, შვილები და შვილიშვილები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დუქნის მეპატრონე, დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. ნავსადგური უკრაინაში; 4. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 5. მონასტერი ახალქალაქის რაიონში; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 11. წარმოების, ორგანიზაციის მართვა; 12. შაქრის შემცვლელი; 15. სამძებრო პოლიციის თანამშრომელი; 16. საპატიო რაინდის ტიტულის მფლობელი ბრიტანელი პოპ-მომღერალი მამაკაცი; 17. რომელიმე ნაწყვეტის ამოღება მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში, შემოკლება; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი რაჭაში; 7. სამხედრო გემთმშენებელი ცენტრი საფრანგეთში; 8. თიხის ფლეიტა. 9. სახელმწიფო ჩრდილო აფრიკაში; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი, შავი სითხე; 18. ზღვის დიდი ფრინველი; 19. სტიქიური ამბოხება, აჯანყება; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული თეატრალური წარმოდგენა; 24. პირველი ქართული მხატვრული ფილმი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბარძიმი; 2. მიკიტანი; 3. სკაფანდრი; 4. ვოლტერი; 5. მიკროსკოპი; 10. ტაბორი; 11. სუბიექტი; 12. ვაიმარი; 13. მორჩილი; 16. ქიმერიონი; 17. მესაჯერო; 19. იმბეცილი; 21. ბორდო; 23. სინჯი.

**თარაზულად:** 6. კაზუისტიკა; 7. ბოლნისი; 8. ჯიბუტი; 9. მაჭახელა; 14. ფოცხვერი; 15. ადიულტერი; 18. მეტრი; 20. ლეჩხუმი; 22. ყისმათი; 24. თორაძე; 25. ბოლივუდი; 26. კოჯორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. ხურჯინი; 5. მალაზია; 10. ჯავახეთი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბარანდოვი; 16. მაიამი; 17. მარაბდა; 20. ცაიში.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. თუშმალი; 8. ექოლოტი; 9. რატუშა; 13. კანა; 14. საცივი; 18. უზუფრუქტი; 19. კანტი; 21. ყანწი; 22. ვინიცა; 23. მანდოლინა; 24. გრინფისი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 აპრილი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6477 |
| ევრო | 2,1583 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5235 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3145 |

## ამინდის პროგნოზი 13 აპრილისთვის





## 23 აპრილიდან

### „ახალ თაობასთან“ ერთად




მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები


# ევროექსპერტები: ფაჩულიას ტრავმამ საქართველო 7 საფეხურით დააქვეითა



ზაზა ფაჩულიას ტრავმამ საქართველოს ნაკრების საევრობასკეტო შანსები მნიშვნელოვნად შეამცირა. ფიბა-ევროპის ვებგვერდზე ევროპელი საკალათბურთო ექსპერტები ყოველ 2 კვირაში საკუთარ პროგნოზებს აქვეყნებენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის ოცდაოთხივე მონაწილე ფავორიტობის ნიშნით არის ჩამწკრივებული.

საქართველოს ნაკრები სტაბილურად ინარჩუნებდა მე-14 ადგილს, თუმცა, როცა ზაზა ფაჩულია ტრავმის გამო მოედანზე ველარ გადიოდა, 2 ადგილით ჩამოქვეითდა, ხოლო როცა ქართველთა კაპიტანმა აქილევსის მყესზე ოპერაცია გაიკეთა, იგორ კოკოშკოვის ნაკრები ერთბაშად 5 ადგილით დაქვეითდა. ანუ ჩვენმა ნაკრებმა ჯამში 7 ადგილი დაკარგა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ფაჩულიას ტრავმით იყო განპირობებული.

ჩვენც ვიცით, რომ ფაჩულიას ტრავმა კოკოშკოვის გუნდის შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს, თუმცა მცირე შანსი არსებობს, რომ ფაჩულია ადრიანად გამოჯანმრთელდეს და საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე დაეხმაროს. გთავაზობთ ფიბა-ევროპის ექსპერტთა მორიგ გამოშვებას, სადაც საქართველოზე დიდი ვარდნა იტალიამ განიცადა. აპენინელებს ფაჩულიას მსგავსად, აქილევსის მყესის ტრავმის გამო დანილო გალინარი გამოაკლდათ, რაც იტალიელთა რეკორდული ვარდნის მიზეზი გახდა. აქამდე არც ერთი გუნდი 6 ადგილით არ დაქვეითებულა.

რაც შეეხებათ სხვა მეტოქეებს, პოლონეთი 4 ადგილით დაწინაურდა, რაც იმ განცხადების გამო მოხდა, რომელიც ესპანური „კახა ლაბორალის“ ფორვარდმა, მაცეი ლამპემ გააკეთა. ლამპემ თქვა, ევრობასკეტზე ვითამაშებ და ამასვე აპირებს მარცინ გორტატიცო. მანამდე ცნობილი იყო, რომ გორტატი ევროპირველობაზე თამაშს არ აპირებდა.

დაწინაურდა კიდევ ერთი მეტოქე ხორვატიაც, რომლის არაერთი წევრიც შედეგიანად ასპარეზობს ევროტურნირებში. ბოლო, 24-ე ადგილი უკავია ჩვენს მომავალ მეტოქე ჩეხეთს, რაც კარგია, თუმცა, ამავდროულად, პირველ ადგილს ინარჩუნებს ესპანეთის ნაკრები, ხოლო სლოვენია კვლავ მესამეა.

## ასტროპროგნოზი

### 13 აპრილი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – დიდი წარმატებისთვის მოემზადეთ, ის მალე გეწვევათ. **კურო** – თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, ყველაფერი კარგად იქნება. **ტყუპები** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **ლომი** – თქვენს ცხოვრებაში აღმასვლა შეინიშნება. **ქალწული** – კითხვები გაქვთ, მაგრამ პასუხებს იპოვით. **სასწორი** – კარგ ამბებს გაიგებთ, მეტი რა გინდათ? **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, გიხარიათ. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს წამოიწყებთ, თანაც წარმატებულად. **თხის რქა** – იაქტიურეთ, დღეს ასე აჯობებს. **მერწყული** – თავს მშვენივრად გრძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **თევზები** – დაუჯერეთ მეგობრებს, არ წააგებთ.

### 14 აპრილი – თქვენი საქმე აკეთეთ

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – თქვენი საქმე კარგად მიდის, მეგობრები გეხმარებიან. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – ახალ შენაძენს მოგილოცავენ. **ლომი** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გიხარიათ. **ქალწული** – ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს. **სასწორი** – პროექტი კარგია, მაგრამ უკეთესს შემოგთავაზებენ. **ღრიანკალი** – გზიდან ნუ გადაუხვევთ, თქვენი საქმე განაგრძეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარ თავს მეტი დრო დაუთმეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, თქვენც იზრუნეთ მასზე. **მერწყული** – ნაწყენი ხართ, მაგრამ მალე გაგივლით. **თევზები** – რომანტიკული თავსგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# ფრანჩესკო ტოტი: როდესაც მინდორზე გვერდით მეგობარი გყავს, უკეთ თამაშობ



„რომას“ ლეგენდარულმა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ სერია ა-ში უკვე 227 გოლი გაიტანა და ყველა დროის ბომბარდირთა დავაში შვედ გუნარ ნორდალს გადაასწრო. „ჩესკო“ ახლა მხოლოდ სილვიო პიოლას ჩამორჩება და მისი რეკორდის გასაუმჯობესებლად 48 ბურთის გატანა სჭირდება. ეს ბევრია, თუმცა 36 წლის ფეხბურთელი „რომასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას 2016 წლამდე აპირებს.

*– სილვიო პიოლას მიღწევის გაუმჯობესებას აპირებთ?*

– ამის გაკეთება ძნელი იქნება, მაგრამ შევეცდები. ყოველ შემთხვევაში, პიოლას მიჯნის მიღწევამდე, ფეხბურთის თამაშს თავს არ დავანებებ.

*– „რომას“ დღევანდელი შემადგენლობიდან გამომდინარე, გუნდს მაღალი მიზნის დასახვა შეუძლია?*

– პროგრესის მიღწევა შეგვიძლია, მაგრამ დიდი გამარჯვებებისთვის ჯერ მზად არ ვართ. ამას ჩემპიონატის დაწყების წინაც ვამბობდი. „რომაში“ მაღალ კლასს თამაშობენ, მაგრამ რამდენიმე გუნდი მთლიანობაში გვჯობნის.

*– ნებისმიერი ტოპკლუბი ისეთ მწვრთნელს ეძებს, რომელიც კარგი ფეხბურთელებისგან ერთ მუშტად შეკრულ გუნდს ჩამოაყალიბებს. ხომ არ თვლით, რომ „რომას“ აურელიო ანდრეაძოლიზე უკეთესი მწვრთნელი-სტრატეგი სჭირდება?*

– გუნდის ჩამოყალიბებისას მწვრთნელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მესის, ხავისა და ინიესტასთან ერთად კი წარმატების მიღწევა იოლია. ასეთი გუნდის მწვრთნელობას მეც შევძლებდი. გუნდი უნდა იყოს ერთიანი.

*– ყველაზე მეტად როდის იყო „რომა“ ერთიანი?*

– როდესაც ფაბიო კაპელოს მწვრთნელობისას სკუდეტო მოვიგეთ. მაშინ ყველანი ვმეგობრობდით. ფეხბურთელები თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ეს ძალიან გვეხმარებოდა ერთმანეთის კიდევ უფრო კარგად გასაცნობად. როდესაც მინდორზე გვერდით მეგობარი გყავს, მინიმუმ 10 პროცენტით უკეთ თამაშობ.

*– სადღეისოდ „რომაში“ თუ არიან ლიდერები?*

– ჩვენ გუნდში გაერთიანების პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ჯერჯერობით, სამუშაო ბლომად გვაქვს.

*– ამჟამინდელი „იუვენტუსი“ მოგწონთ?*

– ყველა მატჩზე ისეთი შემართებით გადიან სათამაშოდ, თითქოს სეზონის გადამწყვეტ თამაშს ატარებდნენ. ეს განსაკუთრებით „იუვეს“ საშინაო მატჩებს ეხება. საკუთარ მინდორზე ტურინელები მეტოქეებს ანადგურებენ.

*– „იუვენტუსის“ მდევრებზე რას გვეტყოდით?*

– „იუვენტუსი“ მათზე მაღლა დგას. „მილანმა“ ცუდად დაიწყო, შემდეგ თანდათან მოუმატა, მაგრამ „როსონერის“ სპურტი დაგვიანებულია. „ნაპოლი“ უკვე რამდენიმე წელიწადია ერთ ადგილს ტკეპნის და მხოლოდ ევროთასებზე მოხვედრით შემოიფარგლება.

*– „რომას“ ევროთასებზე მოხვედრის შანსს როგორ შეაფასებთ?*

– სიმართლე გითხრათ, ევროპის ლიგაზე გასაღწევად უკეთესი შესაძლებლობა გვაქვს. ცხადია, ყველანი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ვოცნებობთ, თუმცა, ამის მოხერხება გაჭირდება.

*– ამჟამად ბევრს საუბრობენ თქვენ „სკუადრა აძურაში“ დაბრუნებაზე.*

– ჩეზარე პრანდელის სიტყვებმა ძალიან გამახარა, მაგრამ სანაკრებო პერსპექტივის საუბრისგან თავს შევიკავებ – მსოფლიოს ჩემპიონატამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი.

*– ალესანდრო დელ პიეროსთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?*

– ალექსი ჩემი მეგობარია. მასთან ერთად ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი. გვქონდა სირთულეებიც, რომლებიც ერთობლივად დავძლიეთ. დელ პიერო ყოველთვის კლუბის და გულშემატკივრების ერთგული იყო. შეუძლებელია, ასეთ ფეხბურთელს ვინმე არ აფასებდეს.

*– „სკუადრა აძურაში“ ერთმანეთის კონკურენტები იყავით, მაგრამ კონფლიქტი არასდროს მოგსვლიათ. გერმანიის მუნდიალის წინ დელ პიერომ „ათიანი“ დაგითმოთ, თავად კი შვიდნომრიანი მაისურით მოხვდა განაცხადში.*

– პრინციპში, მე პლეიმეიკერის პოზიციაზე ვთამაშობდი, ალექსი უფრო წინწაწეული იყო. თანაც, მარჩელო ლიპი ერთდროულად ორივეს გვათამაშებდა.

*– მამათქვენი „რომას“ არც ერთ მატჩს არ ტოვებს. საგარეო მატჩებზეც საკუთარი ავტომობილით დადის. ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი მკაცრი აღმზრდელი იყო.*

– დღემდე ასეთად დარჩა. მამა ბევრს მაკრიტიკებს, ჩემით ყოველთვის უკმაყოფილოა. მუდამ მეუბნება, რომ ცუდი ფეხბურთელი ვარ და ძმა მჯობდა. თუმცა, ამას პირისპირ ყოფნისას მეუბნება.

*– თქვენი ვაჟის კრისტიანის საფეხბურთო პერსპექტივაზე რას გვეტყვით?*

– ჯერჯერობით ფეხბურთის თამაშით იგი კარგად ერთობა. როდესაც გაიზრდება, თავად გადაწყვეტს, რომელ პროფესიას გაჰყვება. გამიხარდება, თუკი ფეხბურთელობაზე გააკეთებს არჩევანს და დახმარებასაც გავუწევ.




## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უმოტორო თვითმფრინავი; 2. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 3. მოხეტიალე მომღერალი პოეტი იტალიასა და საფრანგეთში; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 13. ნაყინის მოსამზადებელი აპარატი; 16. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 17. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 23. გეომეტრიული ფიგურა.

**შვეულად:** 6. შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 7. ორლაპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. მოზაიკური იატაკი; 9. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 14. თამბაქოს მწარმოებელი ცნობილი კუბური ფირმა; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 20. ტკბილი სპირტიანი სასმელი; 22. ქართული სიგარეტი; 24. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 25. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 26. ქართველი მგოსანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა